სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 1 დეკემბერი 2004 №279 (2300) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიული ევოლუცია ფეხბურთში

დიდერნი და მდიდარნი ევროპას თამაშისა და ცხოვრების კლასით ახარისხებენ

ადრე თუ გვიან — იდეის ავტორებს იმედი აქვთ, რომ ადრე — ევროპას ერთიანი პროფლიგა ეყოლება, რომელიც ბრიუსელიდან გააკონტროლებს ეროვნულ ჩემპიონატებს.

ამ დიდმნიშვნელოვანი პროექტის თაობაზე გერმანიის საფეხბურთო ლიგის მმართველმა დირექტორმა ვილფრედ შტაუბმა განაცხადა.

პროექტის უკან დგანან ევროპის 15 ქვეყნის პროფესიული ლიგები და, რაც მთავარია, მათ შორის არიან ინგლისის, იტალიის, გერმანიის, ესპანეთის და საფრანგეთის ჩემპიონატთა მომწყობი ორგანიზაციები. ამ ბობოლათა საქმე კი ასეა: რამეს თუ ჩაიფიქრებენ, ასრულებენ კიდეც.

ერთიანი პროფლიგის დაარსების მიზანი კი ის გახლავთ, რომ უეფამ და ფიფამ უფრო მეტად გაითვალისწინონ ეროვნული პროფლიგების და მაშასადამე, კლუბების ინტერესები.

და რაკი კლუბები ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ ერთიანი პროფლიგის შექმნის იდეის უკან დგას G14-ად წოდებული ევროპის 18 უდიდეს და უმდიდრეს კლუბთა გაერთიანება, რომელიც რა ხანია, უტევს ფიფა-უეფას და ევროფეხბურთში მოტრიალე ფულიდან უფრო მეტის გადაქაჩვა სურს თავისკენ, ვიდრე უეფა აძლევს.

გათვლა კი ასეთია: 18 კლუბი არ არის მთელი ევროპული ფეხბურთი, ეროვნული პროფლიგები კი უფრო წონადი ორგანიზაციებია. ჰოდა, მათ გაერთიანებას უეფასთან საბრძოლველად წონაც მეტი ექნება.

უეფას ფაფუს უკეთებენ?

უეფას თასი 2004-2005 D ჯგუფი. IV ტური

პანიონიოსი — დინამო

გია გეგუჩაძე: დონე ერთია, მოტივაცია ორი

ბერძნებმა დინამოს ევროები არ აიღეს

გია გეგუჩაძე „დინამოს" ათენური ვარჯიშით კმაყოფილი დარჩა

დღეს თბილისის „დინამო" ათენში „პანიონიოსთან" უეფას თასის ბოლო მატჩს ითამაშებს და წლეულს ევროსარბიელს დაემშვიდობება.

ჩვენები ათენში გუშინწინ ჩაფრინდნენ და სასტუმრო „დივანი აკროპოლისში" დაბინავდნენ, საღამოს ქალაქი დაათვალიერეს, გუშინ კი საქმესაც შეუდგნენ.

გია გეგუჩაძემ ნაშუადღევს შეგირდები „პანიონიოსის" სტადიონზე დაახლოებით ორი საათი ავარჯიშა და მათი მზადყოფნით კმაყოფილი დარჩა. როგორც „დინამოს" პრეს-სამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ ათენიდან გვაცნობა, ფეხის ტკივილს შეუწუხებია ლაშა სალუქვაძე, მან ვარჯიში ცალკე დაიწყო და გუნდს მოგვიანებით შეუერთდა. სხვა ფეხბურთელები კი არაფერს უჩივიან.

ვარჯიშის შემდეგ გია გეგუჩაძემ ბერძენი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა, რომელიც 10-15 წუთი გაგრძელდა და 20-მდე ჩვენი კოლეგა დაესწრო. გეგუჩაძემ ეს თქვა:

— „პანიონიოსზე" ბევრი ინფორმაცია არ გვაქვს, თუმც არც ნაკლებობას ვუჩივით. ვნახე „სპორტინგთან" და „ნიუკასლთან" „პანიონიოსის" მატჩები და დავრწმუნდი, რომ სერიოზული მეტოქე გვყავს.

...„პანიონიოსიდან" ვერც ერთ ფეხბურთელს გამოვარჩევ, თვალშისაცემი ისაა, რომ ჩვენი მეტოქე გუნდურ ფეხბურთს თამაშობს და გუნდის უმთავრესი პლუსიც ეს არის. აშკარაა, რომ „პანიონიოსს" უკვე ეტყობა ახალი მწვრთნელის ხელი. მიუხედავად იმისა, რომ მან გუნდი სამი კვირის წინ ჩაიბარა, ჩანს, მისი იდეები ფეხბურთელებს კარგად ესმით.

...ხვალ ძალიან დაძაბულ და საინტერესო თამაშს ველი. „პანიონიოსს" შინ თამაშის გარდა ის უპირატესობაც აქვს, რომ ჩვენი დამარცხებით შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს შეინარჩუნებს და ამის შესაბამისად მასპინძლები „დინამოზე" უფრო მოტივირებულები იქნებიან. ჩვენ კი ხვალინდელი მატჩის შემდეგ უეფას თასს დავემშვიდობებით. ამას რომ ვამბობ, ნუ იფიქრებთ, „დინამო" წინასწარ განწირული ყოფილაო, პირიქით, იმედიანად ვართ და ძალიან გვსურს, უეფას თასზე თამაში უქულოდ და გოლის გაუტანლად არ ჩავამთავროთ.

...„დინამოს" პრობლემაა ისიც, რომ რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლია, მათ შორის გუნდის კაპიტანი ნემსაძეც თბილისში დარჩა.

–ვფიქრობ, რომ „დინამო" და „პანიონიოსი" დაახლოებით ერთი დონის გუნდები არიან. ორივე გუნდი ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და უეფას თასის ჯგუფში თამაში ჩვენთვის გამოცდილების მიღების კარგი შესაძლებლობაა. გაისად, დარწმუნებული ვარ, „დინამოც" და „პანიონიოსიც" გაცილებით კარგად ითამაშებენ...

გუშინვე საღამოს თბილისის „დინამო" საბერძნეთში საქართველოს საელჩოს ესტუმრა და ქართულ სათვისტომოს შეხვდა. ქართველობამ ფეხბურთელები შეაგულიანა, წარმატება უსურვა და მატჩზე დიდ ქომაგობასაც დაჰპირდა.

საელჩომდე კი „დინამომ" აკროპოლისის ანტიკური კომპლექსი დაათვალიერა და დიდად პატივნაცემიც დარჩა. ბილეთი თურმე 12 ევრო ღირს, მაგრამ როცა აკროპოლისის მეთვალყურეთ თბილისელ ფეხბურთელთა სტუმრობის ამბავი შეუტყვიათ, ჩვენებს უფასოდ გამასპინძლებიან.

შეგახსენებთ, დღევანდელი მატჩი ჩვენი დროით თერთმეტის თხუთმეტ წუთზე დაიწყება. ათენში ტემპერატურა 18 გრადუსია. „პანიონიოსის" 11 700-იანი სტადიონი, როგორც ვარაუდობენ, არ გაივსება, თუმცა 7-8 ათას ქომაგს კი ელიან.

კობა ინასარიძე

კარლოს მარჩენამ „პანიონიოსის" ჯგუფში ერთადერთი გოლი „სპორტინგთან" გაიტანა



„პანიონიოსის" ახალი მწვრთნელი გეორგიოს ვაზაკასი

ლიცენზია მეფრონება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ვალერი ჩოლარია და ფედერაციის ლიცენზირების დეპარტამენტის წევრები დღეს საქართველოს ჩემპიონატის ექვსი გუნდის წარმომადგენლებს შეხვდებიან და ლიცენზირების საკითხებზე ესაუბრებიან.

შეკრებას „დინამოს", „ტორპედოს", „ვიტ ჯორჯიას", „თბილისის", „ლოკომოტივისა" და „ბათუმის" მესვეურები დაესწრებიან და ლიცენზირებასთან დაკავშირებით ფედერაციისგან საგანგებო ინსტრუქციებს მიიღებენ.

შეგახსენებთ, რომ უეფას მოთხოვნით, საგაისო ევროტურნირებში მონაწილე ყველა კლუბს აუცილებლად დასჭირდება ლიცენზია და არქონის შემთხვევაში კლუბი ევროსარბიელზე ვერ ითამაშებს.

დღევანდელი შეკრება ფედერაციაში 12 საათზე დაიწყება და მას ჟურნალისტებიც დაესწრებიან.

ლუკა თალაკვაძე

დემეტრაძე დამშვიდდა: მენისკი არ იყო

დონეცკის „მეტალურგს" შერჩენილი ერთადერთი ქართველი *გიორგი დემეტრაძე* შაბათს ზაპაროჟიელ მეტალურგებთან მატჩის ბოლოს დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა — დემეტრაძეს მეტოქემ გაშლილი ფეხი მუხლში ჩაარტყა. ტრავმა თავიდან სერიოზული ჩანდა, მაგრამ...

— დღეს უკვე მთელი დატვირთვით ვივარჯიშე. ჩემდა გასახარად, არანაირი დაზიანება არ მაქვს, არადა, ექიმები მენისკის პრობლემას ვარაუდობდნენ — გვითხრა გიორგიმ, რომელსაც გუშინ დონეცკში დავუკავშირდით და ერთიორი სიტყვა უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ ამბებზეც ჩამოვუგდეთ...

— დონეცკში მშვიდობაა, არანაირი გართულება არ არის. რაც უკრაინაში ხდება, ყველაფერი კიევში. ეს ალბათ იმის გამოა, რომ მთელი დონეცკი იანუკოვიჩის მომხრეა და დარწმუნებულნი არიან, პრეზიდენტი სწორედ ის იქნება. დონეცკში პრობლემა არც ქართველებს გვაქვს, ჩვენ ორივე მხარის მეგობრებად ვითვლებით და დიდი პატივისცემითაც გვეპყრობიან.

და ერთიც: გუშინ უკრაინელმა სტატისტიკოსებმა ერთი საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. მათ დათვალეს და აღმოჩნდა, რომ უკრაინის წინა ჩემპიონატის ბომბარდირი გიორგი დემეტრაძე ახლა ასისტენტებს შორის ლიდერობს. ჩატარებულ 14 შეხვედრაში ჩვენიანს 10 საგოლე პასი გაუკეთებია. გოლი კი, გიორგის ჯერ სულ სამი აქვს გატანილი.

კობა ინასარიძე

ბალტიკა ლუდის კათხასავით დაიცალა

რუსეთის მეორე დივიზიონში დაქვეითებული კალინინგრადის „ბალტიკა" სისხლისგან იცლება. გუნდი უკვე თხუთმეტმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ შორის ქართველებმაც — მოსკოვის „ლოკომოტივიდან" განათხოვრებულ რომან ახალკაცს იჯარის ვადა ამოეწურა, ზაზა ჯანაშიას და თემურ გადელიას კი „ბალტიკასთან" კონტრაქტი დაუმთავრდათ.

ასეც რომ არ ყოფილიყო, ჩვენებურებს მაინც მოუწევდათ კალინინგრადიდან აბარგება, რადგან რუსეთის მეორე დივიზიონში ლეგიონერების თამაში აკრძალულია.

ქართველების ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია. გამორიცხული არაა, ახალკაცი „ლოკომოტივში" დაბრუნდეს, თუმც ამბობენ, მას ისევ გაანათხოვრებენო. აი, ჯანაშია-გადელიას საქმე კი უფრო ბუნდოვანია — მათ ახალი გუნდების მოძებნა მოუწევთ.

კახა შალამბერიძე

ინგლისი

ჩემპიონატი გადადებული მატჩი

ძრიუ 2:1 მილუოლი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

ფულემი 1:2 ჩელსი

უოტფორდი 3:0 პორტსმუთი

LDV VANS TROPHY
I ეტაპი. გადათამაშება

როვერსი 1:0 უიკომბი

ჩესტერი 0:1 რეძსემი

ჰერეფორდი 2:1 ბლეკპული

ლეიტონი 1:0 უოლსოლი

მაკლსფილდი 0:1 ტრანმერი

ნორთჰემპტონი 0:2 საუთენდი

ოლდემი 3:1 ჰარტლპული

სუინდონი 1:0 ბრისტოლი

შოტლანდია

II დივიზიონი
გადადებული მატჩები

დამბარტონი 0:1 ალოა

ბერვიკი 1:0 ფორფარი

III დივიზიონი
გადადებული მატჩები

კოუდენბითი 0:0 მონტროუზი

პიტერჰედი 5:0 სტენჰაუზმური

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

ძემნიცი 2:1 დიუსელდორფი

დავით ყიფიანის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

ცხოვრება საუკეთესო სცენარისტია კარგი გამრავლებული სამზე

ბადრი ჯეიფლაძის ფოტოები

დღეს სათასო მეოთხედფინალის პირველი მატჩებია, თუმც ეს ეტაპი არასრულად ჩატარდება. მოგეხსენებათ, უეფას თასის მონაწილე თბილისის „დინამოს“ სულაც მერვედფინალური ეტაპი გადაედო „ზესტაფონთან“ და სანამ ეს ორი გუნდი ურთიერთობას არ გაარკვევს (9 და 12 დეკემბერს), „ბათუმი“ უმეწყვილოდაა.

ახლა კი დღევანდელ მატჩებზე ვთქვათ. განსაკუთრებულ ინტერესს „თბილისი“ — „ტორპედოს“ შეხლა იწვევს. ეს გუნდები ჩემპიონატსაც ლიდერობენ და თან ლამის ერთ კვირაში სამჯერ მოუწევთ შეჯახება — ორჯერ თასზე, ერთხელ კი ჩემპიონატში. სხვა თუ არაფერი, „თბილისი“ და „ტორპედო“ გამორჩეული მეტოქეები არიან — ამათი თამაში ყოველთვის სასეირო და დაძაბულია.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ გუნდების მწვრთნელები, გოჩა თამაზაშვილსა და ოთარ გაბელიას გუშინ გავესაუბრეთ...

„თბილისის“ მეორე მწვრთნელი *გოჩა თამაზაშვილი* შემტევ ფეხბურთს გვპირდება, კარგი იქნება, თუ საპასუხო მატჩის წინ ჰანდიკაპს შევიქმნითო...

— სრული შემადგენლობით ვემზადებით. სიახლე ისაა, რომ რევაზ ქემოკლიძემ ტრავმა მოიშუშა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს, თუმც ხვალ ითამაშებს თუ არა, ამას ლუის ცაკარიასი გადაწყვეტს.

— რვა დღეში „ტორპედოს“ სამჯერ შეხვდებით და ამ სამიდან განსაკუთრებულად ჩემპიონატის მატჩისთვის ხომ არ ემზადებით?

— არა, ჩვენთვის ყველა თამაში მნიშვნელოვანია. ისე, ასეთ მოკლე დროში ერთ გუნდს სამჯერ რომ ეთამაშები, ფსიქოლოგიური ფაქტორის როლი იზრდება, მაგრამ ჩვენ ჯერ მხოლოდ ხვალინდელ მატჩზე ვფიქრობთ.

— ცხადია, ფრე ხელს არ გაძლევთ, მაგრამ ერთბურთიანი მოგება თუ დაგაკმაყოფილებთ?

— ეს უკვე მინდორზე გამოჩნდება. ისე, 1:0 არ უნდა იყოს ცუდი, 2:1-ს ხომ მაინც სჯობია. ის კი ნაღდია, რომ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ. „თბილისის“ კრედო ყოველთვის შეტევა იყო და არც ცაკარიასი აპირებს ამ გზიდან გადახვევას.

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება, ნახევარფინალისტის ვინაობა ხვალვე გაირკვეს?

— ეს ისეთი თამაში არ იქნება, რომელიმე გუნდმა დიდი სხვაობით მოიგოს. „ტორპედო“ ძალიან ძლიერია — ჩემპიონატის პირველი ტურები რომ იყოს და ისე ლიდერობდნენ, კიდევ რამეს იტყოდი, მაგრამ აგერ, მეორე წრე სრულდება და ქუთაისელები ისევ პირველ ადგილზე არიან.

ოთარ გაბელია: კარგ გუნდთან გვაქვს საქმე და სერიოზულადაც ვემზადებით. ახლახან ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიასთან“ გადავიტანეთ რთული მატჩი და ამჯერად თასზე გადაწყობა მოგვიწევს.

— „თბილისს“ ზედიზედ სამჯერ ხვდებით, რომელი გუნდისთვის შეიძლება იყოს ეს ხელსაყრელი?

— ალბათ არც ერთისთვის. ერთ გუნდთან ზედიზედ სამჯერ თამაში ყოველთვის ძნელია. ჩვენთვის მთავარია, ძალები თანაბრად გადავანაწილოთ. ალბათ სამივე თამაშში სხვადასხვა ტაქტიკას გამოვიყენებთ, ეს აუცილებელი მგონია.

— საპასუხო მატჩი ქუთაისშია. ეს თქვენთვის პლუსია?

— ვფიქრობ, პირველი თამაში უფრო იქნება გადამწყვეტი.

— ვინმე ხომ არ დაგაკლდებათ ხვალინდელ მატჩში?

— სევასტი თოდუა ვერ ითამაშებს, დანარჩენები კი ემზადებიან.

— „ტორპედოსთვის“ თასი უფრო მნიშვნელოვანია თუ ჩემპიონატი?

— ორივე. ჩვენ ყველა თამაშისთვის სერიოზულად ვემზადებით. გამორჩეულ აქცენტს არ ვაკეთებთ.

— წილისყრისას „თბილისს“ თქვენთან შეხვედრა გაუხარდა, ასეთ „ტორპედოსთან“ თამაში გვირჩევნიაო...

— ეტყობა, იფიქრეს, გაისად „ტორპედო“ მოძლიერდებაო. მოუმზადებლები რომ ვართ, გვეტყობა კიდეც, მაგრამ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. თუ მოგვიგებენ, მივალ და მივულოცავ. ამაში უჩვეულო არაფერია.

ფოთი. 1 დეკემბერი. 13 საათი. ფაზისი

კოლხეთი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ფოთში ცივა და, არ გვინდაო

ლოკომოტივი თასს ზღვაზეც დააზღვევს

ფოთში დღეს დიდი ამბავი იქნებაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ამ ქალაქში თამაში ნებისმიერ სტუმარ გუნდს უჭირს. ისიცაა, რომ „ლოკომოტივმა“ ეროვნულ ჩემპიონატში ბოლო ორი თამაში წააგო. დღევანდელ მატჩზე კი „კოლხეთის“ და „ლოკომოტივის“ მწვრთნელებმა ეს გვითხრეს:

სერგო გაბელაია, „კოლხეთის“ მწვრთნელი: „ლოკომოტივთან“ ბევრი ფეხბურთელი გამოგვაკლდება. ოთხი მათგანი ტრავმირებულია — ქუტიძე, შალამბერიძე, გოროზია და ნოშრევან ნარსია, დისკვალიფიცირებულია აკობია, ხოლო მარგალიტაძე და ჭითანავა გაცივდნენ და მათი თამაში ძალიან სათუოა. მოკლედ, დიდი დანაკლისი გვაქვს. ფეხბურთელები ფარმკლუბიდან უნდა დავიმატოთ.

— შანსებს მეტოქის სასარგებლოდ აფასებთ?

— „ლოკომოტივი“ ჩვენზე უკეთესი გუნდია და შანსიც მეტი აქვს. ისიცაა, რომ ჩვენ თასისთვის კი არა, უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ვიბრძვით — ორ ფრონტზე არ ვიბრძოლებთ.

— მაყურებელი როგორ დადის „კოლხეთის“ საშინაო მატჩებზე?

— ერთი „დინამოსთან“ მატჩზე არაუშავდა დასწრება. თანაც ფოთში ახლა ცუდი ამინდებია, თითქმის სულ წვიმს და ცივა.

ზაურ სვანაძე, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი: დისკვალიფიკაციის გამო ბურდული და ბობოხიძე გამოგვაკლდებიან, მთლად ჯანმრთელად ვერაა გიორგი ონიანი და შესაძლოა, ვერ ითამაშოს.

— ჩემპიონატში ბოლო ორი მატჩი რომ წააგეთ, ეს რისი ბრალი იყო?

— ძალიან სუსტად გამოვიყურებოდით უკანა ხაზში, შეიძლება დავიღალეთ კიდეეც, რადგან სეზონის ბოლოა, თუმც გადაჭრით ვერ გეტყვით, რისი ბრალი იყო ეს ორი მარცხი. ამ ორ შეხვედრაში რვა გოლი გავუშვით, უფრო მეტი, ვიდრე წინა თხუთმეტ თამაშში...

— „კოლხეთთან“ მატჩში ფავორიტად ალბათ თქვენს გუნდს მიიჩნევთ...

— როგორც უნდა იყოს, ფოთში თამაში ყოველთვის ძნელია. თასი კი „ლოკომოტივისთვის“ ერთობ პრიორიტეტულია.

მცხეთა. 1 დეკემბერი. 13 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — ამერი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

უეჭველია, რომ პირველლიგელი „ამერის“ მეოთხედფინალში გასვლამ შეჯიბრს კარგა გვარიანი ინტრიგა შემატა. წილისყრამ კი ამერელებს შარშანდელი „ოქროს მატჩის“ ორივე მონაწილე გადაჰყარა.

„ამერმა“ „სიონი“ ბოლნისშიც დაამარცხა და შინაც, თუმცა ისიც სათქმელია, რომ „ვიტ ჯორჯია“ „სიონზე“ ძლიერი გუნდია და, შესაბამისად, პირველლიგელებს დღეს ბევრად რთული გამოცდა ელით.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ ამ სეზონში ტიტულის შენარჩუნების ძალიან მცირე შანსი აქვს და ამდენად, ჯილდოს გარეშე რომ არ დარჩეს, სათასო შეხვედრებს ალბათ განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს.

ვიტელებს დღეს ორი ფეხბურთელი დააკლდებათ, „ტორპედოსთან“ ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრაში ინწკირველმა წითელი ბარათი მიიღო, ხოლო კვარაცხელიამ მესამე გაფრთხილება. ტრავმის გამო საეჭვოა ოლეგ გველესიანის თამაშიც.

დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი „ამერსაც“ ჰყავს — ყოფილი ვიტჯორჯიელი გიორგი დეკანოსიძე, რომელიც მოედანზე ძველი თანაგუნდელების წინააღმდეგ გასვლას საპასუხო მატჩში შეძლებს. ტრავმირებული „ამერში“ არავინაა.

საქართველოს თასი მეოთხედფინალი

ვიტ ჯორჯია — ამერი

1 დეკემბერს 13 საათიდან

ონლაინ რეპორტაჟი ვებ გვერდზე

www.fcameri.ge

რწმენა მიუნხენში ვიგრძენი

როგორ დაარიგა კობიაშვილმა შალკელები

გელზენკირხენის „შალკე 04“ ახალი მწვრთნელის, რალფ რანგნიკის ხელში უწინდელზე უკეთესად რომ ათამაშდა, ამაში ლევან კობიაშვილსაც მიუძღვის წვლილი, ვინაც ბოლო დროს „შალკეში“ გოლების გატანას მოუხშირა ბუნდესლიგაში თუ უეფას თასზე.

„შალკეს“ საკლუბო ჟურნალმა კობიაშვილთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რაც კლუბის ვებგვერდზეც დაიბეჭდა და ალბათ ეს ინტერვიუ ქართველი გულშემატკივრისთვისაც საინტერესო იქნება

— იცით თუ არა, რომ 31 აგვისტოს თქვენ ისტორიული რამ გააკეთეთ საკონტროლო მატჩში „ჰიულსთან“?

— იმ შეხვედრაში მე პირველი გოლი გავიტანე „შალკესთვის“. გოლის გატანა ჩემთვის უპირველესი მიზანი არ არის, მაგრამ წინა სეზონში ერთხელაც ვერ გავიტანე, რაც ჩემს კარიერაში არასდროს მომხდარა — სეზონში სამი-ოთხი გოლი ყოველთვის გამქონდა.

— წინა სეზონის ასეთი სტატისტიკა ყველაზე უფრო რით იყო განპირობებული?

— ჩემი სათამაშო პოზიციით. წინა სეზონში ხშირად მიწევდა „შალკეს“ ოთხკაციან დაცვაში თამაში — ასეთ დროს საგოლე შანსი ძალიან იშვითად გეძლევა.

— მიმდინარე სეზონში კი ბუნდესლიგაში და უეფას თასზე სამ-სამი გოლის გატანა მოახერხეთ.

— ამით ძალიან კმაყოფილი ვარ, ეს იმაზე მიანიშნებს, თუ რისი მაქნისი ვარ გოლების გატანაში.

— წინა სეზონი სოლიდურად კი ჩაატარეთ, მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც გუნდში მწვრთნელი შეიცვალა, „შალკეს“ სხვა მოთამაშეების დარად თქვენც უფრო კაშკაშად ათამაშდით და არა მხოლოდ ცალკეულ მატჩებში — იზიარებთ ასეთ შეხედულებას?

— (იცინის) ეს მართლაც ასეა. ჩვენ ახლა უფრო შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ყველაფერიც ამან მოიტანა. თამაშის ასეთი სტილი ჩემთვის უფრო ხელსაყრელია. მე როგორც ჩამშლელსაც მაქვს კარგი თვისებები და, მართალია, არც ლინკოლნივით ათი ნომრის მოთამაშე ვარ, მაგრამ გუნდში ერთადერთი ვარ, ვინც მოედნის სიღრმიდან მივდივარ წინ — ამის საშუალება ახლა მაქვს — სამი ცენტრალური ნახევარმცველით ვთამაშობთ და ეს იმას ნიშნავს, რომ თუ წინ წავედი, დანარჩენი ორი დაზღვევაზე იქნება. თუ გუნდში ასეთი ნდობა არსებობს, საკუთარ თავსაც უფრო ენდობი.

— „შალკე“ ახლა ყველა ფრონტზე წარმატებულად თამაშობს — როგორ მოქმედებს ეს თქვენს ფსიქოლოგიაზე?

— ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. როცა გამარჯვებების სერიაა, რწმენა გაქვს, რომ ყველაფერს შენდა სასიკეთოდ მოაგვარებ.

— ბუნდესლიგის მეთორმეტე ტურში ჰამბურგში 0:1 აგებდით და 2:1 მოიგეთ — ამ გამარჯვებით დაგიბრუნდათ რწმენა, რომ მიუხედავად ბუნდესლიგაში ცუდი სტარტისა, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მაინც გახვიდოდით, რაც სეზონის წინ დაისახეთ?

— ეს რწმენა მე უფრო ადრე ვიგრძენი, როცა „ბაიერნს“ მიუნხენში მოვუგეთ მერვე ტურში.

— ამ სეზონში ერთი ასეთი სცენა იყო — რალფ რანგნიკმა „ბოხუმთან“ მატჩის დროს გადმოგცათ ფურცელი, სადაც ტაქტიკური ცვლილებები იყო მოხაზული, რაც თქვენ თანაგუნდელებისთვის უნდა გაგეცნოთ — როგორ გაჭრა ასეთმა ხერხმა?

— გაოცებული დავრჩი, ასეთი რამ არასდროს გამიკეთებია და არასდროს მენახა ბუნდესლიგაში. თუმც მივხვდი, მწვრთნელს რა ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ ეს ფეხბურთელებისთვის რომ გამეცნო, ამისთვის ალბათ ტაიმაუტის მაგვარი იყო საჭირო. წარმოიდგინეთ, მე მოედნის აქეთა ნახევარზე ვარ, გერალდ ასამოა კი იქითაზე და მას ტაქტიკური ცვლილებების შესახებ უნდა მოვუყვე. მაგრამ მჯეროდა, რომ ყველაფერ ამას თავს გავართმევდი და ის მატჩი ჩვენ მოვიგეთ! (იცინის).

— ოთხოეული სამი ქულის შემდეგ „შალკეს“ ფანებს მადა ემატებათ და ჩემპიონობაზე ფიქრობენ — თქვენც იგივე აზრის ხართ?

— ეს ასე არ არის, მაგრამ ჩემპიონობა თავში ყოველთვის მიტრიალებს. თუ ცხრილს დავხედავთ, ლიდერს ორი ქულით ჩამოვრჩებით, მაგრამ მესამეადგილოსანს ოდენ სამით ვუსწრებთ.

— „შალკეში“ ამ სეზონში ჩემპიონ „ვერდერიდან“ მლადენ კრსტაიჩი გადმოვიდა — მას ჩემპიონობის თავისებური გამოცდილება აქვს და ამ მხრივ თქვენც ხომ არ თვლით თავს გამოცდილად?

— საქართველოს ჩემპიონი ვარ და რუსეთშიც მოწინავე გუნდში ვთამაშობდი, მაგრამ ამას ბუნდესლიგას ვერ შევადარებ. „ფრაიბურგში“ 5-6 წელი დავყავი და ყოველთვის ვოცნებობდი ბუნდესლიგის მოგებაზე. მიხარია, რომ ახლა უკვე ამბიციურ გუნდში ვარ. ვერაფერი შეედრება იმას, თუ ჩემი კარიერის ბოლო პერიოდში გერმანიის ჩემპიონი გავხდები.

— თქვენ ტიპიურად ტექნიკური ფეხბურთელი ხართ და რამდენად ეგუებიან თანაგუნდელები თქვენეულ თამაშს?

— როცა გუნდში ისეთი ფეხბურთელი გყავს, როგორიც ლინკოლნია, შეგიძლია, რომ ტექნიკური სტილით ითამაშო. საქართველოში ტრადიციულად ძლიერნი არიან ბურთის ფლობაში. ვფიქრობ, თანაგუნდელები კარგად მეწყობიან.

— მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველოსთან არიან ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი, მსოფლიოს მესამეადგილოსანი თურქეთი, ევროპის ბოლო ჩემპიონატის მონაწილე დანია, უკრაინა და კერძეტი ალბანეთი — ასეთ ჯგუფში თქვენი ნაკრები უკეთ თამაშობს, ვიდრე წინა შესარჩევ ციკლებში — რატომ?

— ძალიან კარგი მწვრთნელი დაგვინიშნეს ალენ ჟირესის სახით, თანაც ჩვენი ნაკრების საშუალო ასაკი ახლა 26-27 წელია, ხანდაზმული ფეხბურთელები გუნდიდან წავიდნენ. ძალიან ძნელია, ასეთ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გაჩვიდე. უკრაინას ანდრეი შევჩენკო ჰყავს და წინ გაიჭრა. თუმც პირველი ოთხი მატჩი ნორმალურად ვითამაშეთ და არცთუ მცირე შანსი გვაქვს მეორე ადგილზე გასასვლელად.

— დანიასთან მატჩში თქვენი შალკელი თანაგუნდელის კრისტიან პოულსენის წინააღმდეგ ითამაშეთ — როგორი დუელი იყო?

— თანაგუნდელის წინააღმდეგ თამაში უჩვეულო კია, მაგრამ ნაკრებში მე მარცხენა ფლანგზე ვთამაშობ, პოულსენი კი ნახევარდაცვის ცენტრში — ერთმანეთს გზას არ ვუჭრიდით.

— ბუნდესლიგის პირველი ეტაპი მალე დასრულდება — საშობაო შვებულებას როგორ გაატარებთ?

— ჩემი ოჯახით საქართველოში გადავფრინდები, რადგან ჩემი და მეუღლის მშობლები, ჩვენი მეგობრები თბილისში ცხოვრობენ. საშობაო შვებულებისას ჩვენში ყველაზე მნიშვნელოვანი დღე 31 დეკემბერია — საჩუქრებს ერთმანეთს მაშინ ვჩუქნით.

— კობიაშვილების ოჯახში თქვენ ერთადერთი ფეხბურთელი ხართ?

— ჩემი უმცროსი ძმა აჩიკო საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებში თამაშობს. ვნახოთ, დადგება თუ არა მისგან პროფესიონალი ფეხბურთელი. მამაჩემი კი ამბობს, რომ მისით ძალიან კმაყოფილია.

ტრირული ძილისპირული დამთავრდა

მეორებუნდესლიგელმა „ტრირმა“ დავით სირაძე ზაფხულში შეიძინა და ჩვენებურზე გარკვეულ იმედებსაც ამყარებდა — აკი 10-ნომრიანი მაისურაც გადასცეს. თუმც ვერც „ტრირი“ და ვერც სირაძე გერმანიას ვერ აზანზარებენ — კლუბი მეთერთმეტე ადგილზეა, ქართველ ნახევარმცველს კი ამ სეზონში სულ ექვსი, ისიც არასრული მატჩი მოუგროვდა.

ამის მიუხედავად, დათოს გუშინ გერმანიაში რომ დავუკავშირდით, იმედიანად გვესაუბრა — თვეები რომ გამიცდა, ეს სეზონის წინ მიღებული ტრავმის ბრალია, ახლა კი ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში და, დარწმუნებული ვარ, მეორე წრეში ძირითადში ვითამაშებო...

— ზაფხულში ვარჯიშზე მიღებულმა ტრავმამ ძალიან გამაწვალა, ამასობაში კი „ტრირი“ ნელ-ნელა შეთამაშდა, შედეგიც ნორმალური ჰქონდა და მწვრთნელი პაულ ლინციც ერიდებოდა შემადგენლობის შეცვლას. ახლა სრულად გამოვჯანმრთელდი, წინა ტურში „კიოლნთან“ მხოლოდ 12 წუთი მათამაშეს, მაგრამ მწვრთნელი ლამის ყოველდღე მამხნევებს და არ გამოვრიცხავ, მომავალ ტურში, დრეზდენში, პირველივე წუთებიდან მათამაშოს.

— შენს პოზიციაზე ვინ თამაშობს?

— ერთი გერმანელი, მეორე სერბი. ორივე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ კონკურენციას მოვერევი. ისე, ტრავმამდე ყველა ამხანაგურ მატჩში ძირითადში ვიყავი.

— ნახევარდაცვაში რა ადგილზე გიწევს თამაში?

— თავისუფალ ნახევარმცველად. უფრო შუაში, ოღონდ ცოტა მარჯვნივ ვთამაშობ, „კიოლნთან“ კი გამთამაშებლად შევედი. ისე, ძალიან მაგარი თამაში იყო. „კიოლნს“ მეორე ბუნდესლიგაში ყველაზე ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ ყველაფრით ვაჯობეთ. ნიკო პაჩინსკის ორი ისეთი მოძენტი გაუცუდდა, კინაღამ ვიტირეთ.

— რა მიზნები აქვს „ტრირს“, ბუნდესლიგაში გადასვლაზე ალბათ აღარ ფიქრობენ...

— არა, რატომ?! პირველ წრეში ორი თამაში დაგვრჩა და ექვს ან ოთხ ქულას ვგეგმავთ. საერთოდ, აქ გუნდებს შორის კლასში განსხვავება მცირეა, ქულებითაც დიდად არ ჩამოვრჩებით ლიდერებს. კარგი ფეხბურთელები გვყავს. იგივე ჰარი კოხი, ზორან მამიჩი და კატალინ რაკანელი. ლიდერი კი უდავოდ პაჩინსკია. ყოველ შემთხვევაში, „ტრირს“ ბერლინის „უნიონივით“ გავარდნის საფრთხე არ ემუქრება, აქ ამაზე არავინ ფიქრობს. ისიკაა, ბევრ მატჩში არ გაგვიმარილა, მოსაგები თამაშები ფრით დავასრულეთ. რეალური ძალით მეთერთმეტე ადგილზე მაღლა უნდა ვიყოთ.

— ფეხბურთელების დამატებას ხომ არ გეგმავენ?

— არა. მეორე წრეშიც იგივე შემადგენლობა გვეყოლება.

— მოკლედ, ძირითადში დამკვიდრებას გვპირდები...

— თვითონ მწვრთნელი სულ მამხნევებს და მე რატომ ვიქნები უმედოდ?! ისე, ძალიან მეგობრული გუნდი გვყავს, სულ ერთად ვართ და ტრავმა რომ მივიღე, ყურადღებას არ მაკლებდნენ.

— საქართველოს ნაკრებში თამაშიც მოგენატრებოდა...

— რა თქმა უნდა, თუმც ჯერ „ტრირში“ მაქვს დასამტკიცებელი,

თორემ აქ თუ არ ვითამაშე, ნაკრებში ვინ გამომიძახებს.

— საქართველო — დანიას ალბათ უყურე...

— ვუყურე და ძალიან დამწყდა გული, რომ ვერ მოვიგეთ. შოთას რომ ის გოლი გაეტანა, მაგარი შანსი გაგვჩნდებოდა, თუმცა ნაკრები ბოლოს ისე ათამაშდა, ნებისმიერ მატჩში მოგების იმედი უნდა გვქონდეს.

ილია ნანოგაშვილი

უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

„ლაციომ“ თუ „ეგალეოს“ ვერ მოუგო, ჯგუფიდან გავარდება

ზოგ ჯგუფში გაზაფხულია

A ჯგუფი

გელზენკირხენის „შალკემ“ გაზაფხულისთვის ადგილი უკვე დაიბევა და ევროშემოდგომას როტერდამში დაასრულებს. „ხუმარებს“ ღღევანდელ მატჩში დარიო როდრიგესი, ფაბიან ლამოტე, ნილს უდე კამპუისი და გუსტავო ვალერა დააკლდებათ. „ფეიენოორდს“ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად სამი ქულაღა სჭირდება. რუუდ გულიტის გუნდმა გასულ უქმეებზე „ბერენვენთან“ ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა და ფრეს დასჯერდა. როტერდამელებს ბლომად ტრავმირებულები ჰყავთ. სებასტიან პარდო, რამონ ვან ჰაარენი და ლეონარდო ნაღდად არ იქნებიან, ხოლო სალომონ კალუს, ქარიმ საიდის და შინჯი ონოს თამაში საეჭვოა.

ბუდაპეშტში ალბათ მესამე ადგილისთვის ბრძოლა გაიმართება. „ფერენცვაროშმაც“ და „ბაზელმაც“ შინა ჩემპიონატების ბოლო ტურში მოიგეს.

B ჯგუფი

ამ ჯგუფში ვითარება ჩახლართულია და ბევრი რამ დღეს გაირკვევა. ბუქარესტის „სტიაუა“ ექვსი ქულით ცხრილის თავშია და ბილბაოს ესტუმრება. რუმინელებისთვის ჯგუფიდან გასასვლელად ქულაც საკმარისი იქნება. „სტიაუას“ ფლორენტინ დუმიტრუ, სორინ პარასკივი და ტიბერიუ კურტი ტრავმების გამო დააკლდებათ, პეტრე მარინი კი დისკვალიფიცირებულია. „ბილბაოს“, რომელმაც „რასინგი“ 3:0 დამარცხა, ხავი გონსალესი ჰყავს დაშავებული.

სტამბოლში „ბეშიქთაში“ ლიეჟის „სტანდარდს“ დაუხვდება. ვინსენტე დელ ბოსკეს გუნდს იონ კარეუ, კაან დობრა და რონალდო გიარო ვერ დაეხმარებიან. მეკარე ოსკარ კორდობა გამოჯანმრთელდა, მაგრამ „სამსუნსფორთან“ მატჩში მწვრთნელმა დაასვენა. „სტანდარდმა“ „სენტ ტრუიდენთან“ 1:4 წააგო. ამ შეხვედრაში ლიუჟელებს დისკვალიფიცირებული ერიკ დეფლანდრე აკლდათ, რომელიც სტამბოლში ითამაშებს, ბრაზილიელი ვამბერტო კი დაშავებულია.

C ჯგუფი

შინ თუ ევროთასზე „დნიპროს“ უკვე ათი შეხვედრა არ წაუგია. უკრაინულმა გუნდმა ჯგუფში სამივე მატჩი მოიგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა, ამიტომაც სარაგოსაში დღევანდელი თამაში სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით მხოლოდ მასპინძლებისთვისაა მნიშვნელოვანი. „სარაგოსა“ გასულ უქმეებზე „ნუმანსიასთან“ დამარცხდა, თუმც ვიქტორ მუნოსის გუნდისთვის ერთი კარგი ამბავი მაინც მოხდა — ტრავმამოშუშებული ფორვარდი დავიდ ვილა დაბრუნდა.

ჩემპიონატში „ბრეგენცთან“ გამარჯვებით „აუსტრაიმ“ სამმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და დღეს „ბრიუგეს“ მოყოჩაღებული დაუხვდება.

D ჯგუფი

ლისაბონში „სპორტინგს“ „სოშოს“ ძლევა არ უნდა გაუჭირდეს, თუმც ჯგუფიდან გასასვლელად პორტუგალიელებს ფრეც ჰყოფნით. „სოშომ“ ზედიზედ ორი მატჩი წააგო. ჯერ შინ „ნიუკასლთან“ 0:4 დამარცხდა, მერე კი საფრანგეთის ჩემპიონატში „ლანსთან“ შერცხვა. „სოშო“ ლისაბონში სილვენ მონსიროს, იოან ლონფანტს და მარსელო ტრაპასოს მოისაკლისებს. „სპორტინგი“ კი საუცხოო ფორმაშია, „დინამოს“ ოთხი გოლი გაუტანა, ხოლო გასულ უქმეებზე „მორეირენსესაც“ არ დაკლო და 4:1 სძლია.

E ჯგუფი

„ეგალეოს“, ჯერ მატჩი რომ არ მოუგია, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი კიდევ აქვს და საამისოდ „ლაციოს“ უნდა ავჯობოს, რომელიც რომში „კალიარისთან“ დამარცხდა. „ლაციოსთვის“ ჯგუფური ეტაპი დღეს საბერძნეთში დასრულდება და თუ ვერ მოიგო, ტურნირს დაეშვიდობება.

„ვილიარეალს“ ბელგრადში სებასტიან ბატალია, როხერ გარსია და ხავი ვენტა დააკლდება, ხოლო „პარტიზანი“ საუცხო ფორმაშია, შინაურ ჩემპიონატში „ჰიდუკი“ 3:0 გაანადგურა. ბელგრადთა მწვრთნელმა ვლადიმირ ვერმეიოვიჩმა საშა ილიჩი და რომში შეურაცხყოფილი კამერუნელი ფორვარდი პიერ ბოია დაასვენა. ვერმეიოვიჩს მცველი ჩირკოვიჩი გამოუკეთდა და იმედოვნებს, რომ „ვილიარელთან“ თამაშს შეძლებს.

F ჯგუფი

ლიდერთა მატჩი ალკმაარში გაიმართება. ჰოლანდიის ჩემპიონატში პსვ-ს მდევარი კო ადრიანსეს გუნდი გლაზგოს „რეინჯერს“ უმასპინძლებს, რომელმაც გასულ უქმეებზე „სელტიკს“ გადაასწრო და შოტლანდიაში პირველ ადგილზე გადაბრძანდა. ორივე გუნდს ჯგუფიდან გასალწევად ფრეც ხელს აძლევს.

გი რუს „ოსერს“ პოლონური „ამიკას“ ძლევა ხელუწყობა და ფრანგებმა ეს მატჩი თუ მოიგეს, უეფას თასზე თამაშის გაგრძელების შანსს შეინარჩუნებენ. პოლონეთში პირველი წრე დასრულდა და „ამიკა“ დასვენებული ეწვევა ოსერს. ამიკელთა პრეზიდენტმა თქვა, ბოლო მატჩია და არ გვსურს ტურნირის უქულოდ ჩამთავრება, ოსერში ფრე მაინც უნდა გავახერხოთ.

G ჯგუფი

ზაგრებს „დინამოს“ მწვრთნელმა ილია ლანჩეროვიჩმა „ბენფიკასთან“ მარცხის შემდეგ შემადგენლობა მცირედით შეცვალა და შინაჩემპიონატში „ინტერს“ მოუგო. ივან ბოშიაკი და ნიკო კრანჩო სათადარიგოთა სკამზე დასვა, მათ ნაცვლად კი ჭრვიე შტროკი და მარიო ლუკიჩი ათამაშა. ზაგრებელები „ჰერენვენს“ დაუხვდებიან და გამარჯვებას გეგმავენ. „ჰერენვენს“, „ფეიენოორდთან“ 0:2 რომ გააბათილა, მიკა ვირინენი, არნოლდ ბრუგინკი და ჰანუ ჰაარალა დაკლდება.

ლისაბონის „ბენფიკას“ ბელგიაში „ბევერენთან“ ქულის აღება არ უნდა გაუჭირდეს და ასე თუ მოხდა, ჯოვანი ტრაპატონი საგაზაფხულო ადგილს დაიბევებს. ბენფიკელებს პანაიოტის ფისასი, არგელი, პაულუ ალმეიდა და ბრუნო აგილარი გამოუკეთდა. ლუიზაო და აზარ კარადაში ტრაპატონიმ „ლეირიასთან“ წაგებულ მატჩში დაასვენა. მიგელი, მანტორაში, კარლიტუში და ნუნუ გომეში კვლავ ტრავმირებულნი არიან.

H ჯგუფი

ათენის აეკის ბედი სევილიაში გადწყდება. ბერძნებმა წინა ტურში შინ „ლილთან“ წააგეს და ახლა ესპანეთში მოგება სჭირდებათ, რომ მესამე ადგილისთვის იბრძოლონ. სტუმრად „სევილიას“ დამარცხება კი იოლი არ იქნება.

ათენელებს ხრიტოს კონტისი, ივან რუშევი და ცენტრალური მცველი ბრუნო ალვეში დააკლდებათ, რომელსაც ევანგელოს მორასი შეცვლის. სევილიელებმა კი პრიმერადივიზიონში „ოსასუნასთან“ წააგეს, თუმც კაცნაკლულები იყვნენ და მარცხის ერთ-ერთ მიზეზიც ესაა.

„ალემანიამ“ სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ შორიდან შეაშინა, რადგან მეორე ბუნდესლიგაში „მიუნხენ 1860“ 5:1 გაანადგურა და ხვალ ნევისპირელებს ელის. „ზენიტი“ გერმანიაში მთავარმეკარის, კამილ ჩონტოფალსკის გარეშე ჩავა, რადგან სლოვაკი სანაკრებოდ გამოიძახეს.

ვაჟა ხუციშვილი

A ჯგუფი						
IV ტური, 1 დეკემბერი						
ფერენცვაროში — ბაზელი						
ფეიენოორდი — შალკე						
შალკე	3	2	1	0	4:1	7
ფეიენოორდი	2	1	1	0	4:1	4
ჰართსი	3	1	0	2	2:5	3
ბაზელი	2	0	1	1	2:3	1
ფერენცვაროში	2	0	1	1	1:3	1

B ჯგუფი						
IV ტური, 1 დეკემბერი						
ბეშიქთაში — სტანდარდი						
ბილბაო — სტიაუა						
სტიაუა	3	2	0	1	4:2	6
ბეშიქთაში	2	1	0	1	4:3	3
ბილბაო	2	1	0	1	3:3	3
სტანდარდი	2	1	0	1	2:3	3
პარმა	3	1	0	2	2:4	3

C ჯგუფი						
IV ტური, 1 დეკემბერი						
აუსტრია — ბრიუგე						
სარაგოსა — დნიპრო						
დნიპრო	3	3	0	0	6:3	9
სარაგოსა	2	1	0	1	2:1	3
ბრიუგე	2	1	0	1	3:3	3
აუსტრია	2	1	0	1	1:1	3
უტრეხტი	3	0	0	3	1:5	0

D ჯგუფი						
IV ტური, 1 დეკემბერი						
პანიონიოსი — დინამო						
სპორტინგი — სოშო						
ნიუკასლი	3	3	0	0	7:0	9
სპორტინგი	2	2	0	0	8:1	6
სოშო	2	1	0	1	2:4	3
პანიონიოსი	2	0	0	2	1:5	0
დინამო	3	0	0	3	0:8	0

E ჯგუფი						
IV ტური, 2 დეკემბერი						
პარტიზანი — ვილიარეალი						
ეგალეო — ლაციო						
მიდლსბრო	3	2	0	1	3:2	6
ვილიარეალი	2	1	1	0	3:1	4
პარტიზანი	2	1	1	0	6:2	4
ლაციო	3	0	2	1	3:5	2
ეგალეო	2	0	0	2	0:5	0

F ჯგუფი						
IV ტური, 2 დეკემბერი						
ალკმაარი — რეინჯერსი						
ოსერი — ამიკა						
რეინჯერსი	2	2	0	0	8:0	6
ალკმაარი	2	2	0	0	5:1	6
გრაცერი	3	1	1	1	3:4	4
ოსერი	2	0	1	1	0:2	1
ამიკა	3	0	0	3	2:11	0

G ჯგუფი						
IV ტური, 2 დეკემბერი						
დინამო — ჰერენვენი						
ბევერენი — ბენფიკა						
შტუტგარტი	3	2	0	1	8:2	6
ბენფიკა	3	2	0	1	6:5	6
დინამო	2	1	0	1	6:3	3
ჰერენვენი	2	1	0	1	3:4	3
ბევერენი	2	0	0	2	2:11	0

H ჯგუფი						
IV ტური, 2 დეკემბერი						
სევილია — აეკ						
ალემანია — ზენიტი						
ლილი	3	2	0	1	4:3	6
ზენიტი	3	1	1	1	7:4	4
სევილია	2	1	1	0	3:1	4
ალემანია	2	1	0	1	1:2	3
აეკ	2	0	0	2	2:7	0

„ნიუკასლთან“ შერცხვენილი სოშოელები საქმის გამოსწორებას ლისაბონში ეცდებიან

„ბეშიქთაში“ იონ კარეუს ვერ დაიხმარს

შენ სპრაიტი გიყვარდა, პორტუგალიელო

ერთი თავი დაწერილი წიგნიდან

დღეს აღარც ერთია „ბარსელონაში" და აღარც მეორე. იმ გუნდიდან ბევრიც აღარავინ დარჩა. ხოლო რაც დარჩა, მოგონებებია.

„ბარსელონას" დიდი კაპიტნის, ხოსეპ გვარდიოლას წიგნში „ჩემი ხალხი, ჩემი ფეხბურთი", მე-18 თავი ლუიშ ფიგუს ეძღვნება, რომლის ქართულ თარგმანსაც დღეს გთავაზობთ

რატომ, ლუიშ?!

დილის ხუთი საათია. ვცდილობ როგორმე დავიძინო. ძილი არ მოდის. ეს შეუძლებელია. 3 მარტის ღამე 4 მარტის დილამ შეცვალა. 4 ჩემი ციფრია. ახლახან დავბრუნდი მადრიდიდან, „ბერნაბეუდან". არ მეძინება და ვფიქრობ, როგორი ბედნიერი ვარ, ფეხბურთელის კარიერა რომ ავირჩიე და ჩემი კარიერა ასეთი წარმატებული გამოდგა. რამხელა ბედნიერებაა, როცა შეგიძლია ფეხბურთით ისიამოვნო. გუშინ „ბერნაბეუზე" უდიდესი სიამოვნება მივიღე.

ასეთი მატჩებით ჩვენ ადრე ერთად ვიღებდით სიამოვნებას. ახლა ერთად აღარ ვართ. როცა ერთად ვთამაშობდით, შენ 7-ნომრიანი მაისურით გადიოდი მოედანზე, ახლა 10-ნომრიანი გაცვია...

როცა ბარსელონადან მადრიდში მოვფრინავდით, შენ აღარ იჯექი ჩემს გვერდით პირველ რიგში, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა. ახლა შენს ადგილზე ლუის ენრიკე იჯდა. შენ რომ ყოფილიყავი, აუცილებლად შეუკვეთდი „სპრაიტს", როგორც ყოველთვის ძალიან ცივს, მთელი ფრენის მანძილზე მოდის ჟურნალებს დაათვალიერებდი. მაგრამ შენს მაგივრად ჩემს გვერდით ლუის ენრიკე იჯდა. ტომატის წვენი შეუკვეთა და რაღაც ძალიან ჭკვიანური წიგნის კითხვა დაიწყო. ხომ ხედავ ლუიშ, გუნდში ინტელექტის დონე როგორ გაიზარდა. ძალიან გთხოვ, ნუ იტყვი, რომ ჩვენთან ინტელექტი მაინც არ არის.

სასტუმროში მივედით. მარტო ვარ. შენც რომ ყოფილიყავი, მობილურს აიღებდი და გაუთავებლად დაიწყებდი რეკვას შენს ყველა პორტუგალიელ და მადრიდელ მეგობართან. გაუთავებლად ილაპარაკებდით ყველაფერზე ფეხბურთის გარდა. მთელი ღამე ილაპარაკებდი და მხოლოდ რიჟრაჟზე ჩააქრობდი შუქს და ჩაილაპარაკებდი, ძილის დროაო. და შენ ისევე სწრაფად ჩაგეძინებოდა, როგორც სწრაფადაც ატყუებ-ხოლმე მცველებს და მიიწევ კარისკენ.

გახსოვს, ვიგოში რომ ვითამაშეთ? ესპანეთი პორტუგალიის წინააღმდეგ? მაშინ პირველად დაგინახე და გაგიცანი. მაშინ სწორედ ისეთად გაგიცანი, როგორიც სინამდვილეში ხარ. მაშინ ვიგოში მივხვდი, რომ შეგიძლია მთელი გუნდი მხრებზე მოიკიდო და გამარჯვებისკენ გაუძღვე. მერე, ბევრჯერ დავრწმუნდი, რომ არ შევმცდარვარ და ზუსტად ასეთი იყავი. ჩვენთან შენ ბევრჯერ გაგიკეთებია ეს და ჩვენგან წასული კიდევ ბევრჯერ გააკეთებ. ახლა გიხსენებ და გული მწყდება.

მაგრამ ჯანდაბას სინანული. როგორც ანხელი ამბობს-ხოლმე, ჩვენ გვიხარია, როცა თამაშის მერე შენ ჩვენს გასახდელში შემოდიხარ.

შენ გუშინაც შემოხვედი ჩვენს გასახდელში. მაშინაც შემოხვედი, როცა პირველად დაბრუნდი „კამპ ნოუზე". მიუხედავად იმისა, რაც იმ თამაშისას მოხდა, მაინც შემოხვედი. ანხელსაც ძალიან გაუხარდა რომ შემოხვედი. ის სულ ამბობს, რომ არ ესმის ჩვენგან წასული ფეხბურთელების, რომლებსაც ჩვენს წინააღმდეგ უხდებათ თამაში და მატჩის მერე ჩვენს გასახდელში არ შემოდიან. ჩვენ ხომ გვაინტერესებს მათი ამბები, როგორ არიან ახალ კლუბებში. სულ არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენი სტადიონის გასახდელი იქნება თუ იმათი.

არადა, ეგეთი ფეხბურთელებიც არიან — ჩვენი ძმები რომ იყვნენ და წასვლის მერე „ბარსას" გასახდელს შორიდან უვლიან. შენ ეს არასდროს გაგიკეთებია. შენ შემოხვედი. გაოფლილი და საშინლად დაღლილი იყავი, მაგრამ მაინც შემოხვედი და ყველას გადაგვეხვიე. პრეზიდენტმა გასპარმა ხელი გამოგიწოდა. შენც გაუწოდე. მასაც და „ბარსას" ყველა ბოსსაც. მერე მე და შენ რკინის ყუთზე ჩამოვჯექით, რომელიც მუდამ დაგვაქვს სადაც არ უნდა წავიდეთ და ცოტა ხანი შენს ახალ სახლზე, ელენზე და ჩემს ნათლულ დანიელაზე ვილაპარაკეთ.

გახსოვს ის დღე, შენი შვილის ნათლიობა რომ მთხოვე? მაშინ გითხარი: „კარგად დაფიქრდი, ლუიშ, ნამდვილად გეყოლება ვინმე ჩემზე ახლობელი ადამიანი, ვინც ჩემზე მეტად იმსახურებს დანიელას მონათვლას."

შენ ვითომ ვერ გაიგე. შენ მე ამირჩიე და ამით უდიდესი სიამაყე, მადლიერება და პასუხისმგებლობაც ვიგრძენი.

უკვე დილის ხუთი საათია. უკვე რამდენიმე [illegible] ერთმანეთს დავემშვიდობეთ. კიდევ ვა[illegible] წლებიც, მაგრამ მე მუდამ ისეთი მეხსომები, როგორც მაშინ, ერთი გასახდელი რომ გვქონდა.

ეჰ, რატომ ვერ დაუდექი მტკიცედ იმ კაცს, რომელიც მერე შენი ახალი პრეზიდენტი გახდა და რატომ ვერ გაუძელი ცდუნებას... ან იმას რატომ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მაინცდამაინც შენ უნდა წაეყვანე... შენ აქ სამოთხეში იყავი და რატომ დაიწყე სხვა სამოთხის ძებნა... ეგებ იმიტომ, რომ გადაწყვეტილება ძალიან სწრაფად, დაუფიქრებლად მიიღე... ეგებ იმიტომ, რომ ჩვენი უფროსობა შენ არ გისმენდა და შენი არ ესმოდათ... ეგებ იმიტომ, რომ გეგონა, არავინ გაფასებდა... ეგებ, ფულის გამოც...

ოცი წლის მერე, როცა მე და შენ ყველა ტრავმა მოშუშებული გვექნება და გაზეთებს აღარ ვეხსომებით, სადმე ჩამოვჯდებით, რამდენიმე კათხა ლუდს დავლევთ და მაშინ პირადად გკითხავ: რატომ? იქამდე კი ლუიშ, კიდევ ბევრი დრო გვაქვს. ოცი წლის მერე ვილაპარაკოთ ამაზე.

გუშინ გასახდელში რომ დაგვემშვიდობე და შენი გასახდელისკენ წახვედი, ჩვენ „ბარახასისკენ" გავემართეთ და თვითმფრინავში ჩავსხედით. ლუის ენრიკემ ისევ ტომატის წვენი მოითხოვა, ოღონდ ამჯერად ყინულის გარეშე და სანამ ბარსელონაში ჩავფრინდებოდით, მეორე ძალიან ჭკვიანური წიგნი წაიკითხა — ორი წიგნი, ორ დღეში.

მეტი რა გითხრა. გუნდში ყველაფერი კარგადაა. ჩვენ თამაშსაც უკეთესობა დაეტყო. თუ შეამჩნიე, გუშინ შენი ახალი გუნდის წინააღმდეგ ისეთი შემართებით ვითამაშეთ, შენ რომ გვასწავლიდი.

უკვე საბოლოოდ გათენდა. ახლა უკვე ვხვდები, რომ ჩამეძინება. ჩემს მარიას ვკოცნი და ისევ დანიელა მახსენდება. აკოცე და უთხარი, რომ ძალიან მიყვარს.

მომავალ შეხვედრამდე პორტუგალიელო...

იანუკოვიჩი, ავტონომია და ბარსელონა

ლაპორტას დონეცკი აშინებს

ძნელი სათქმელია, მიიღებენ თუ არა დონეცკელები პრეზიდენტად თავისთვის და რუსეთისთვის სასურველ ვიქტორ იანუკოვიჩს.

ძნელი სათქმელია, მიიღებენ თუ არა ავტონომიას იმავ რუსეთის წაქეზებით.

და ისიც ძნელი სათქმელია, მიიღებენ თუ არა ერთი კვირის თავზე „ბარსელონას".

ჩემპიონთა ლიგის იმ ჯგუფში, რომელშიც დონეცკის „შახტარი" თამაშობს, ერთადერთი კითხვაა უპასუხოდ დარჩენილი: ვინ გავა მესამე ადგილზე და ვინ გაიხანგრძლივებს ამით ევროსიცოცხლეს, „შახტარი" თუ „სელტიკი". „ბარსელონას" და „მილანს" თავი უკვე მერვედფინალში აქვთ დაგულებული და ბოლო ტურში სტუმრად ხვდებიან ჯგუფში ჩარჩენილებს.

მესამეადგილოსნობის მეტი შანსი „სელტიკს" აქვს, დონეცკელები კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავლენ უეფას თასზე, „სელტიკმა" თუ ვერ მოიგო, თავად კი კატალონიელებს დაამარცხებენ.

მაგრამ იქამდე უსაფრთხოების საკითხებია მოსაგვარებელი, რომელიც „ბარსელონას" ისე აწუხებს, რომ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ წერილიც აფრინა უეფაში, დონეცკში ჩასვლას აგვარიდეთო.

კატალონიელთა შეშფოთება საფუძვლებით ლოგიკურია, მაგრამ უეფა მატჩის გამართვის ადგილის შეცვლისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია უეფას არწმუნებს, უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მივიღებთ და ყველაფერი კარგად ჩაივლისო.

უეფა უკრაინელთა სიტყვას ენდობა, მაგრამ ისიცაა, რომ „შახტარ" — „ბარსელონამდე" ერთი კვირაა დარჩენილი, ამ ერთ კვირაში კი შესაძლოა, ისეთი ამბები დატრიალდეს, უკრაინის ფედერაცია იქით იხვეწებოდეს თამაშის გადატანას.

ოქროსბუცა სამბას ბენდიდან

მარსელინიოს შეხედე, ჯარლოს!

შეღებილი თმებითა და ოქროსფერი ბუცებით მარსელინიო თანაგუნდელებისგან იოლი გამოსარჩევია. ბუნდესლიგის ზედიზედ სამ მატჩში გატანილი ხუთი გოლით შეგულიანებული ბერლინის „ჰერტას“ ფორვარდი იმედოვნებს, რომ მალე ნაკრებშიც მიიწვევენ. „ვოლფსბურგთან“ ჩემი ჰეთ თრიქი კარლოს ალბერტო პარეირამ თუ ნახა, ალბათ კვლავ გამომიძახებს“ — იმედოვნებს მარსელინიო

მას ნაკრებში ხუთჯერ უთამაშია, მაგრამ შარშან ზაფხულში ფეხმოტეხილმა ეროვნულ გუნდში ადგილი დაკარგა. ფორვარდს განსაკუთრებით ის ეწყინა, რომ ორი თვის წინ ბერლინში გერმანია-ბრაზილიის ამხანაგური მატჩისთვის პარეირამ არ უხმო. მარსელინიომ ამის შემდეგ დაიწყო და მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. „ჩემი მთავარი მიზანი ნაკრებში დაბრუნებაა და ვიცი, რომ საამისოდ ბლომად ოფლის ღვრა მომიწევს“ — განაცხადა ფორვარდმა, რომლის ბერლინელი თანაგუნდელი ჟილბერტო 17 ნოემბერს ეკვადორთან შეხვედრისთვის მწვრთნელმა გამოიძახა.

მარსელინიომ ანუ მარსელინიო პარაიბამ „ჰერტას“ მაისურით გამართულ 106 მატჩში 43 გოლი მიითვალა. იგი 2001 წელს „გრემიოდან“ გერმანულ კლუბში 6 მილიონი დოლარის სანაცვლოდ გადაბარგდა.

საამსეზონო რვა გოლიდან ხუთი ნოემბერში გაიტანა და მიროსლავ კლოზესთან ერთად ბომბარდირებში მეოთხე ადგილზეა. მარსელინიო ამ მხრივ ბუნდესლიგის ყველა ბრაზილიელს სჯობნის — შტუტგარტელ კაკაუს (7), დორტმუნდელ ევერტონს (6) და შალკელ აილტონს და ლინკოლნს, რომლებსაც ხუთ-ხუთი მოუგროვდათ.

„ვოლფსბურგთან“ შესრულებული ჰეთ თრიქის გამო „ალგემაინე ცაიტუნგმა“ „ოქროსბუცა“ შეარქვა, მარსელინიომ „მგლების“ კარში ექვსჯერ დაარტყა და სამი გაიტანა.

„მარსელინიო გუნდში საუკეთესოა — შეაქო ბრაზილიელი კლუბის მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა — ვოლფსბურგში უმაღლესი კლასის ფეხბურთი აჩვენა“.

ჰიონესი ყოველთვის ასეთი გახარებული არაა, რადგან მარსელინიოსგან წყენაც ახსოვს. ღამის კლუბში ცეკვა-თამაშისთვის და ვარჯიშების გაცდენისთვის შარშან 20 ათასი ევრო დაუქვითა. მარსელინიო შვებულებას ბრაზილიაში ატარებს ხოლმე და კლუბი სულ ნერვიულობს, რადგან არაერთხელ დაიგვიანა სამშობლოდან დაბრუნება.

ერთი წლის წინ მარსელინიომ დაიჩივლა, ბრაზილიელებს გერმანული ცხოვრების წესთან შეგუება გვჭირს, ოდნავ მეტი თავისუფლება მომეცით და უკეთესად ავთამაშდებიო.

დიტერ ჰიონესი შეპირდა, გოლებს თუ არ მოუკლებ, დეკემბერში შვებულებაში სხვებზე ადრე გაგიშვებო. „მარსელინიოს საწინააღმდეგო ამჯერად არაფერი მაქვს — აღნიშნა მენეჯერმა — ტურიდან ტურამდე იცეკვოს რამდენიც უნდა, თუკი კვირის შუაში მატჩი არ გვექნება“.

„ოქროსბუცამ“ შშობლიურ ქალაქ კამპინა გრანდედან ოჯახობა ბერლინში წაასხა. მისი ცოლი, ქალიშვილი, ძმა და რამდენიმე ძმაკაცი გერმანიის დედაქალაქში, კოხტად მოწყობილ ორსართულიან სახლში ცხოვრობენ.

ფეხბურთელმა საიმისოდაც გამონახა დრო, რომ ბერლინში სამბას ბენდი გახსნა, რომელსაც „ასპროცენტიანი მარსელინიო“ ჰქვია. ბერლინურ გაზეთებში არცთუ იშვიათად ჩნდება მოცეკვავე მარსელინიოს ფოტოები. „გართობა ჩემი ცხოვრების ნაწილია — თქვა მეგოლემ — ცეკვა-თამაში კი დოპინგივით მოქმედებს“.

ვაჟა ხუციშვილი

რუმინეთის ახალი ქველია

ანგელ იორდანესკუს შემცვლელი ვიქტორ პიცურკა გახდება. ამის შესახებ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დუმიტრუ დრაგომირმა გუშინ განაცხადა. „პიცურკა ერთადერთი რეალური კანდიდატია და ოფიციალურად მასთან კონტრაქტს კვირის ბოლომდე გავაფორმებთ“ — თქვა დრაგომირმა.

სომხეთში რუმინელთა ვერმოგების შემდეგ ანგელ იორდანესკუ გადადგა. ფეხბურთის ფედერაცია მის შემცვლელს ეძებდა და არჩევანი ოთხ კაცზე შეაჩერა. — გეორგ ჰაჯი, ლასლო ბოლონი, მირჩა ლუჩესკუ და ვიქტორ პიცურკა. ჰაჯიმ „გალათასარაის“, ბოლონიმ „ნანტის“, ლუჩესკუმ კი „შახტარის“ მიტოვება იუარეს და ოთხიდან მხოლოდ ერთიღა დარჩა.

ბუქარესტის „სტიაუას“ ყოფილი მწვრთნელი ნაკრებს ოთხი წლის წინაც თავკაცობდა. პიცურკამ მაშინ რუმინეთი ევრო 2002-ზე გაიყვანა, მაგრამ სანაკრებო მოღვაწეობა მოგვიანებით იმიტომ დაასრულა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი აუჯანყდა. „მე ვიყავი ბოლო მწვრთნელი, რომელმაც რუმინეთი დიდ შეჯიბრზე ათამაშა და ვიმედოვნებ, რომ კვლავ წარმატებით დავბრუნდები“ — აღნიშნა ახალდანიშნულმა.

ვიქტორ პიცურკა

ვაჟა ხუციშვილი

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XV ტური

სლავია 1:0 ბანიკი

1:0 პიტაკი (7)

სპარტა	15	11	3	1	30:10	36
ტეპლიცე	15	8	6	1	16:10	30
ლიბერეცი	15	8	4	3	24:8	28
სლავია	15	8	3	4	21:11	27
იაბლონეცი	15	7	4	4	18:14	25
სიგმა	15	7	2	6	16:15	23
ბანიკი	15	4	6	5	18:22	18
ზლინი	15	4	6	5	15:19	18
დრნოვიცე	15	4	5	6	17:18	17
ბრნო	15	4	3	8	11:22	15
ბლშანი	15	4	3	8	10:21	15
ბოლესლავი	15	3	5	7	14:19	14
პრეიბრამი	15	3	3	9	14:29	12
ბუდეიოვიცე	15	2	5	8	14:19	11
სლოვაცკო	15	5	7	3	13:9	10
ოპავა	15	3	5	7	16:21	8

„სლოვაცკოს“ დაკლებული აქვს 12, „ოპავას“ 6 ქულა

გერმანია

II ბუნდესლიგა. XV ტური

კოტბუსი 0:2 ბურგჰაუზენი

0:1 რ. შმიდტი (74), 0:2 რაიზინგერი (89)

კიოლნი	15	10	3	2	26:15	33
ფიურტი	15	9	3	3	20:11	30
დუისბურგი	15	9	3	3	21:13	30
ალემანია	15	8	4	3	33:14	28
ბურგჰაუზენი	15	6	4	5	20:16	22
ზაარბრიუკენი	15	6	3	6	21:17	21
აუე	15	6	2	7	22:18	20
მიუნხენი	15	5	5	5	21:24	20
ალენი	15	4	7	4	15:15	19
აინტრახტი	15	5	4	6	26:27	19
ტრირი	15	4	7	4	17:19	19
კარლსრუე	15	4	5	6	18:22	17
ერფურტი	15	4	5	6	11:20	17
უნტერჰახინგი	15	5	1	9	20:24	16
კოტბუსი	15	4	4	7	13:18	16
ობერჰაუზენი	15	4	3	8	15:27	15
დინამო	15	4	2	9	17:29	14
ესენი	15	2	7	6	21:28	13

იტალია

სერია B. XV ტური

პერუჯა 0:0 ვენეცია

ემპოლი	15	10	3	2	27:12	33
ჯენოა	15	9	5	1	34:14	32
ტორინო	15	8	3	4	19:14	27
პერუჯა	15	7	5	3	22:14	26
ვერონა	15	6	4	5	27:21	22
პიაჩენცა	15	7	1	7	21:24	22
ასკოლი	15	6	4	5	18:21	22
ალბინოლეფე	15	5	6	4	21:18	21
ტრევიზო	15	6	3	6	18:20	21
არეცო	15	4	8	3	25:19	20
ტრიესტინა	15	5	5	5	20:22	20
კატანია	15	5	5	5	17:21	20
ვიჩენცა	15	6	1	8	23:23	19
ჩეზენა	15	4	5	6	19:24	17
პესკარა	15	4	5	6	16:21	17
მოდენა	15	6	2	7	16:16	16
კატანზარო	15	4	4	7	16:22	16
ტერნანა	15	4	4	7	15:21	16
სალერნიტანა	15	4	4	7	18:27	16
კროტონე	15	3	5	7	15:21	14
ვენეცია	15	3	5	7	12:18	14
ბარი	15	3	5	7	11:17	13

„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „ბარის“ 1 ქულა

ამხანაგური მატჩი

ეგვიპტე 1:1 გულგარეთი

1:0 მეტეაბი (85), 1:1 გარგოროვი (89)

პორტუგალია

სუპერლიგა. XII ტური

სეტუბალი 0:1 პორტუ

0:1 ჟერარდ ტეშტა (26)

პორტუ	12	7	4	1	19:7	25
ბოავიშტა	12	7	2	3	16:12	23
ბენფიკა	12	6	4	2	19:11	22
ბრაგა	12	6	4	2	17:11	22
სპორტინგი	12	6	3	3	26:15	21
მარიტიმუ	12	5	5	2	15:11	20
სეტუბალი	12	6	2	4	17:15	20
რიუ ავე	12	3	8	1	17:14	17
ლეირია	12	4	5	3	13:13	17
ბელენენსეში	12	4	3	5	21:19	15
პენაფიელი	12	4	2	6	15:25	14
გიმარაეში	12	3	4	5	9:11	13
ეშტორილი	12	3	3	6	14:17	12
ნასიონალი	12	3	3	6	14:19	12
აკადემიკა	12	3	2	7	11:17	11
ბეირა მარი	12	2	4	6	15:25	10
ჟილ ვისენტე	12	2	3	7	11:16	9
მორეირენსე	12	1	5	6	10:21	8

ინგლისი

ჩემპიონატი. XXI ტური

როტერჰემი 1:0 ლიდსი

1:0 მაკინტოში (77)

იფსვიჩი	21	12	6	3	40:23	42
უიგანი	21	11	8	2	36:15	41
სანდერლენდი	21	12	4	5	29:15	40
რედინგი	21	11	5	5	29:18	38
ქუინზ პარკი	21	11	3	7	31:29	36
ვესტ ჰემი	21	10	4	7	26:24	34
შეფილდი	21	8	8	5	26:27	32
ბარნლი	21	7	9	5	18:18	30
მილუოლი	19	8	5	6	18:16	29
დერბი	21	8	5	8	29:28	29
პრესტონი	21	8	5	8	28:28	29
უოტფორდი	21	6	10	5	28:23	28
ლესტერი	21	6	10	5	24:20	28
სტოკი	21	7	7	7	15:17	28
პლიმუთი	21	7	5	9	27:28	26
ლიდსი	21	6	7	8	24:21	25
ჭრიუ	20	7	4	9	35:39	25
ქოვენთრი	21	6	7	8	26:33	25
ვულვზი	20	6	6	8	26:28	24
ბრაიტონი	21	6	4	11	16:29	22
კარდიფი	21	4	7	10	21:28	19
ჯილინგემი	21	5	3	13	18:37	18
ნოტინგემი	21	3	8	10	20:30	17
როტერჰემი	21	1	8	12	13:29	11

საფრანგეთი

II დივიზიონი. XVII ტური

ნანსი 1:0 გენიონი

1:0 ბრისონი (40)

ნანსი	17	11	2	4	27:16	35
ტრუა	17	9	3	5	26:20	30
გენიონი	17	6	8	3	14:10	26
სედანი	17	7	5	5	14:13	26
ბრესტი	17	6	7	4	19:17	25
ლავალი	17	7	4	6	20:20	25
დიჟონი	17	6	6	5	18:16	24
ამიენი	17	6	6	5	18:17	24
მონპელიე	17	6	5	6	15:13	23
გრენობლი	17	5	8	4	20:21	23
რეიმსი	17	6	5	6	19:25	23
კლერმონი	17	5	7	5	24:20	22
შატორუ	17	4	10	3	14:13	22
ლე მანი	17	6	4	7	19:19	22
გენგამი	17	6	3	8	21:24	21
ლორიანი	17	6	2	9	21:25	20
ანჟე	17	4	7	6	15:17	19
ნიორი	17	6	0	11	17:23	18
კრეტეი	17	4	4	9	15:21	16
ლე ავრი	17	4	4	9	12:18	16

სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (რუსთაველის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

მიმიფურთხება

ეს კაცი გიჟიცაა და უზრდელიც



„ბოლტონის" მწვრთნელმა სემ ალარდაისმა განაცხადა, ელ-ჰაჯი დიუფს ფსიქოლოგთან გავგზავნი, ვინძლო, მან გამოიცნოს ფეხბურთელის უცნაური საქციელის მიზეზიო.

საქმე ისაა, რომ 23 წლის სენეგალელი, რომელიც ორჯერ აღირეს აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად, იფურთხება. თამაშის დროს ყველა იფურთხება, მაგრამ სენეგალელს სხვა სენი სჭირს — ის ხალხს აფურთხებს და თანაც ყოველთვის მიზანში არტყამს

გასულ უქმეებზე კაც-აქლემის მორიგი მსხვერპლი „პორტსმუთის" კაპიტანი არიენ დე ზეუვი გახდა. დიუფმა მიიჩნია, რომ მსაჯმა მისი წაქცევისთვის აშკარა პენალტი არ დანიშნა. მოედნიდან წამოფრენილი სენეგალელი მსაჯისკენ გაექანა, მას გზა დე ზეუმა გადაუღობა და დიუფმაც სახეში მიაფურთხა.

ამის შემსწრეებს კაც-აქლემის საქციელზე მეტად შეფურთხებულის სიმშვიდე გაუკვირდათ. კაპიტანმა სენეგალელს ხურდა არ დაუბრუნა, ნამატჩევს კი თქვა: „უარესს ვერც მოიფიქრებ. მერჩივნა, ვინმეს ჩემთვის მუშტი დაერტყა."

BBB-ის ტელესტუდიაში მიწვეულმა ალან შირერმა კი მომხდარი ასე შეაფასა: „თამაშის დროს ბევრი რამ ხდება, მაგრამ ვინმესთვის შეფურთხება მხოლოდ სულმდაბალ კაცს შეუძლია. დე ზეუვს სიმშვიდისთვის ჯილდო ეკუთვნის."

უცნაურია, მაგრამ ინგლისში გატარებულ ორ სეზონში ელ-ჰაჯი დიუფმა რამდენიმე ადამიანის დანერწყვა მოასწრო. შარშან „ლივერპულში" იყო და გლაზგოში „სელტიკის" ფანს მიაფურთხა, რისთვისაც ხუთი ათასი გირვანქა ააფცქვნეს. უფრო ადრე „ვესტ ჰემის" ქომაგის დასველება დააბრალეს, მაგრამ არ დაუმტკიცდა და გადარჩა. „პორტსმუთამდე" ორი კვირით ადრე „მიდლსბროს" 11 წლის ფანი ნაპირალი ფორთოხლის წვენი დანამა და ეს მსხვერპლიდან რამდენიმე მეტრში მდგომმა მოახერხა. ამ საქმეს ჯერჯერობით იძიებენ. ალარდაისი კი მართალია, ფეხბურთელს ფსიქოლოგთან რომ აგზავნის.

დიუფი თავის საქციელს სხვადასხვაგვარად ხსნის. როცა მან „სელტიკის" ფანს მიაფურთხა, რომელმაც სენეგალელს თავზე ხელი მოუთათუნა, კაც-აქლემმა თქვა, აგრესიის შემეშინდა და თავდაცვის მიზნით მივაფურთხეო. მოგვიანებით გადაასხვაფერა და განაცხადა, თავზე ხელის წამორტყმა ჩემს სამშობლოში შეურაცხმყოფელია, ასე მონებს ექცეოდნენ ბატონები, თან სენეგალში ადამიანისთვის მიფურთხება დანაშაულად არ ითვლებაო.

ამბობენ, რომ სამეგობრო წრეში კარგი მომლხენი და გამრთობია, ხუმრობა და ძმაბიჭების გათამაშება უყვარს, მაგრამ ზოგჯერ მეტისმეტი მოსდის და ვერ გაიგებ, მეორე წუთში რას მოიმოქმედებს.

ელ-ჰაჯი დიუფის პირველმა კლუბმა „სოშომ" აბეზარი ფეხბურთელი მალე მოიშორა და აღსაზრდელად „რენს" მიაბარა. იქ შარში გაეხვა. მართვის მოწმობა არ ჰქონდა და ისე მიუჯდა საჭეს, ავტომობილს დაეჯახა და კინაღამ ქალი იმსხვერპლა.

როცა „ლანსიდან" „ლივერპულში" გადავიდა, ინგლისში ჩასვლისთანავე დაატუხა: „მსურს, „ლივერპულისთვის" იგივე გავხდე, რაც „ბითლზი" იყო." ეს თქვა და 61 მატჩში ექვსი გოლი გაიტანა. როგორც იფურთხება, ისეთივე სიხშირით რომ გაჰქონდეს გოლები, ბომბარდირებში გაერეოდა. სენეგალის ნაკრებშიც აწეწილი აქვს საქმე. შეკრებისას ღამის კლუბში ხეტიალის გამო ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს, მაგრამ ნაკრების მწვრთნელი იცავს, მან ბევრი გააკეთა გუნდისთვის და ხელის კვრის უფლება არ გვაქვსო.

რას ამბობენ ექიმები მიმფურთხებელზე? ერთნი ამტკიცებენ, ცუდი აღზრდის ბრალიაო, მეორენი — ფსიქიკის პრობლემააო, მესამენი კი საჭმლის მონელების სისტემაა დარღვეულიო. სემ ალარდაისიც ალბათ, მალე გაიგებს პასუხს.

ვაჟა ხუციშვილი

ტევესი სამეზობლოში

გერმანია? ესპანეთი? არა, ბრაზილია!

კარლოს ტევესი, რომელზეც ევროპის ბობოლა კლუბები ნადირობდნენ, „ბოკა ხუნიორსიდან" ბრაზილიურ „კორინთიანსში" გადავიდა. მხარეებმა კონტრაქტი გააფორმეს და „კორინთიანსმა" ფორვარდის სანაცვლოდ დაახლოებით 20 მილიონი დოლარი გადაიხადა. „ტევესმა თქვა, რომ ბრაზილიაში სიამოვნებით ითამაშებს. მას ევნისამდე მოცდა არ სურს და ფორვარდი ახალ გუნდში მალე წავა. კარლოს ტევესი „ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტ მაურისიო არსის ორი საათის განმავლობაში ესაუბრა და ფეხბურთელი რამდენიმე დღეში გაგვეყრება" — განაცხადა ბოკელთა ვიცე-პრეზიდენტმა პედრო პუმპილიომ.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

შოტლანდიური „რეინჯერსის" ყოფილ თავკაც უოლტერ სმიტს ეროვნული ნაკრების გაწვრთნას სთავაზობენ. იგი ამჟამად შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციასთან აწარმოებს მოლაპარაკებას და შესაძლოა, ეს პოსტი კვირის ბოლომდეც კი ჩაიბაროს. ბერტი ფოგტსის შემცვლელად სხვა კანდიდატურებსაც განიხილავენ, მაგრამ ამ ეტაპზე ფავორიტი სმიტია. შეგახსენებთ, რომ გამოცდილ სპეციალისტს „ჩაფრებთან" ერთად 13-ჯერ მოუგია ქვეყნის ჩემპიონატი.

რუსული „დინამოს" ფორვარდი დმიტრი ბულიკინი უკვე რამდენიმე დღეა, ინგლისურ „ბოლტონში" ვარჯიშობს. ფეხბურთელს „რიბოკის" ბინადრებზე კარგი შთაბეჭდილებაც მოუხდენია, მაგრამ საბოლოო პასუხს „ბოლტონი" იანვარში იტყვის. შეგახსენებთ, რომ შარშან ბულიკინს ლივერპულის „ევერტონმა" დაადგა თვალი, მაგრამ მერსისაიდელები მოსკოვურ კლუბთან ფასზე ვერ შეთანხმდნენ.

ნიგერიული „ენიემბას" უფროსობა აფრიკის ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში თითოეულ მოთამაშეს სოლიდურ პრემიას, 150 ათას დოლარს ჰპირდება. ფინალური მატჩები 5 და 12 დეკემბერს გაიმართება, „ენიემბასა" და ტუნისურ „ეტუალ საჰელს" შორის. საინტერესოა, რომ შარშან ამავე ტურნირში გამარჯვებისთვის „ენიემბას" ყველა ფეხბურთელმა და მთავარმა მწვრთნელმა საჩუქრად ავტომობილი მიიღო.

რუსული „მოსკოვის" მოლდოველმა კაპიტანმა რადუ რებეჟამ განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებში აღარ ითამაშებს, სანამ მის სათავეში ვიქტორ პასულკო იქნება. ცოტა ხნის წინ მწვრთნელმა რებეჟა, იონ ტესტიმიცანუ და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ნაკრებისადმი აგდებულ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა. რებეჟაც სწორედ ამან გაანაწყენა.

პორტუგალიური „ბენფიკას" 45 წლის გულშემატკივარი „ლეირიასთან" მატჩისას მეორე იარუსიდან გადმოვარდა და ისე გარდაიცვალა, რომ ექიმებმა მძიმედ დაშავებული ქომაგის საავადმყოფოში მიყვანა ვერ მოასწრეს. თვითმხილველთა განცხადებით, იგი მაშინ გადავარდა, როცა ლისაბონელებმა სახიფათო მომენტი გააცუდეს.

რუსული „ლოკომოტივის" კაპიტანმა დმიტრი ლოსკოვმა კლუბთან კონტრაქტი სამი წლით გაახანგრძლივა. გარდა ამისა, ფეხბურთელმა უარყო ჭორები, თითქოსდა იგი მოსკოვის „დინამოსთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. „არ ვიცი, საიდან გავრცელდა ეს ინფორმაცია. არავის შევხვედრივარ და საერთოდ, „ლოკომოტივიდან" წასვლაზე არც კი მიფიქრია. კლუბის პრეზიდენტ ვალერი ფილატოვთან უკვე დიდი ხნის წინ ვიყავი ყველაფერზე მოლაპარაკებული" — აღნიშნა „რკინიგზელთა" ნახევარმცველმა.

გერმანული „ვერდერის" მენეჯერმა კლაუს ალოფსმა უარყო ჭორები ანგელოს ხარისტიასის მოსკოვის „ლოკომოტივში" შესაძლო გადაბარგებაზე. „ჩვენ არანაირი ოფიციალური წინადადება არ მიგვიღია. გარდა ამისა, არც ვაპირებთ ხარისტიასის გაყიდვას. თანაც არა მგონია, თავად ფეხბურთელმა ისურვოს მოსკოვში გადასვლა" — აღნიშნა ალოფსმა. როგორც ამბობენ, ბერძენ ფორვარდს ამსტერდამის „აიაქსიც" აკვირდება.

ესპანური „დეპორტივოს" სელექციონერებმა „ზენიტისა" და „სევილიას" მატჩის ვიდეოჩანაწერი ნახეს. ლაკორუნიელები სანკტპეტერბურგელთა მაკედონელ მცველ ველიჩე შემულიკოსკით არიან დაინტერესებულნი. შესაძლოა, მალე მხარეებმა მოლაპარაკებაც დაიწყონ. თავის მხრივ, „ზენიტმა" მავან არგენტინელ მცველს დაადგა თვალი, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით არ ხმაურდება. კლუბის წარმომადგენელი უკვე გაემგზავრა სამხრეთ ამერიკაში.

რუსეთის ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის" ნახევარმცველ დენის ბოიარინცევით დონეცკის „შახტარიც" დაინტერესდა. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფეხბურთელის მოსკოვის „სპარტაკში" გადაბარგება ფაქტობრივად გადაწყვეტილია, თუმც ბოიარინცევს კიდევ რამდენიმე მსურველი გამოუჩნდა. ყველაზე მეტად კი სწორედ უკრაინული კლუბი აქტიურობს.

ინგლისური „არსენალის" კაპიტან პატრიკ ვიეირას გასულ უქმეებზე „ლივერპულთან" მატჩში მიღებული ყვითელი ბარათი მეხუთე აღმოჩნდა. შესაბამისად, მას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრანგი „ჩელსისთან" პრინციპულ საშინაო შეხვედრას გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ „მეთოფეები" ამჟამად პრემიერლიგის მეორე საფეხურზე იმყოფებიან და 5 ქულით სწორედ თანაქალაქელ „ჩელსის" ჩამორჩებიან.

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		4 დეკემბერი						
15:45	1	ჩელსი-ნიუკასლი	1.5	3.5	7.0	1.04	1.23	2.33
18:00	2	არსენალი-ბირმინგემი	1.3	4.5	9.0	1.0	1.13	3.0
18:00	3	ასტონ ვილა-ლივერპული	2.4	3.3	2.65	1.38	1.25	1.46
18:00	4	ნორვიჩი-ფულემი	2.35	3.2	2.8	1.35	1.27	1.49
18:00	5	ევერტონი-ბოლტონი	2.05	3.3	3.3	1.26	1.26	1.64
18:00	6	მანჩესტერი-საუთჰემპტონი	1.25	5.0	10.0	1.0	1.11	3.33
18:00	7	პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი	1.8	3.3	4.2	1.16	1.25	1.84
20:15	8	ბლექბერნი-ტოტენჰემი	2.4	3.2	2.7	1.37	1.27	1.46
		5 დეკემბერი						
19:05	9	კრისტალ პალასი-ჩარლტონი	2.3	3.3	2.8	1.35	1.26	1.51
		6 დეკემბერი						
23:00	10	მიდლსბრო-სიტი	1.9	3.3	3.8	1.2	1.26	1.76
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		4 დეკემბერი						
18:00	13	კარდიფი-ჯილინგემი	1.8	3.3	4.0	1.16	1.24	1.8
18:00	14	ქრიუ-იფსვიჩი	2.9	3.3	2.2	1.54	1.25	1.32
18:00	15	დერბი-ქოვენტრი	1.9	3.3	3.65	1.2	1.24	1.73
18:00	16	ლიდსი-ლესტერი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
18:00	17	მილუოლი-შეფილდი	2.1	3.3	3.0	1.28	1.23	1.57
18:00	18	ნოტინგემი-ქპრ	2.4	3.3	2.6	1.38	1.24	1.45
18:00	19	პლიმუთი-ბარნლი	2.25	3.3	2.8	1.33	1.24	1.51
18:00	20	სანდერლენდი-ვესტ ჰემი	1.8	3.3	3.5	1.16	1.18	1.69
18:00	21	უოტფორდი-სტოკი	2.1	3.3	3.1	1.28	1.25	1.59
18:00	22	ბრაიტონი-როტერჰემი	1.7	3.3	4.4	1.12	1.22	1.88
18:00	23	ვულვერჰემპტონი-რედინგი	2.3	3.3	2.7	1.35	1.24	1.48
18:00	24	უიგანი-პრესტონი	1.6	3.4	5.3	1.08	1.22	2.07
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		4 დეკემბერი						
17:30	52	არმინია-ჰანზა	1.65	3.4	5.0	1.11	1.24	2.02
17:30	53	ფრაიბურგი-ვერდერი	3.5	3.2	2.0	1.67	1.27	1.23
17:30	54	ჰამბურგი-ჰანოვერი	1.85	3.2	4.1	1.17	1.27	1.79
17:30	55	ჰერტა-მიონხენგლადბახი	1.7	3.2	5.2	1.11	1.28	1.98
17:30	56	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1.85	3.2	4.1	1.17	1.27	1.79
17:30	57	ნიურნბერგი-ბაიერნი	4.6	3.4	1.7	1.95	1.24	1.13
17:30	58	შტუტგარტი-ბოხუმი	1.5	3.5	6.7	1.04	1.22	2.29
		5 დეკემბერი						
19:30	59	კაიზერსლაუტერნი-მაინცი	2.0	3.2	3.5	1.23	1.27	1.67
19:30	60	დორტმუნდი-შალკე	2.5	3.0	2.7	1.36	1.29	1.42
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		1 დეკემბერი						
16:00	71	ვერდერი(მ)-დორტმუნდი(მ)	2.1	3.4	2.8	1.29	1.2	1.53
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		4 დეკემბერი						
20:00	89	ადმირა-ბრუგენცი	1.7	3.3	4.3	1.12	1.21	1.86
20:00	90	აუსტრია-ზალცბურგი	1.35	4.4	6.8	1.03	1.12	2.67
20:00	91	მატერსბურგი-გრაცერი	2.7	3.3	2.2	1.48	1.21	1.32
20:00	92	შტურმი-ტიროლი	1.95	3.1	3.4	1.19	1.23	1.62
		5 დეკემბერი						
17:30	93	პაშინგი-რაპიდი	2.25	3.3	2.7	1.33	1.22	1.48
		ავსტრია. I დივიზიონი						
		3 დეკემბერი						
21:00	94	აუსტრია(ლ)-კაფენბერგი	2.0	3.1	3.3	1.21	1.24	1.59

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	95	გრატკორნი-ვიორგლი	1.8	3.3	3.6	1.16	1.2	1.72
21:00	96	კერნტენი-ლინცერი	1.3	4.4	7.3	1.0	1.1	2.74
21:00	97	ლეობენი-ალტახი	1.75	3.2	4.0	1.13	1.21	1.77
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		5 დეკემბერი						
16:30	99	ქსამაქსი-თუნი	1.75	3.3	4.2	1.14	1.23	1.84
16:30	100	იანგ ბოისი-ციურიხი	1.9	3.3	3.7	1.2	1.25	1.74
16:30	101	შაფჰაუზენი-სერვეტი	2.3	3.0	2.9	1.3	1.28	1.47
18:00	102	სტ.გალენი-აარაუ	2.2	3.1	2.95	1.28	1.26	1.51
18:15	103	გრასჰოპერი-ბაზელი	2.95	3.0	2.25	1.48	1.27	1.28
		იტალია. სერია A						
		5 დეკემბერი						
17:00	113	კალიარი-კიევო	2.1	2.9	3.65	1.21	1.33	1.61
17:00	114	ფიორენტინა-ბოლონია	1.8	3.0	4.5	1.12	1.28	1.79
17:00	115	ინტერი-მესინა	1.35	4.1	9.0	1.01	1.17	2.81
17:00	116	იუვენტუსი-ლაციო	1.35	4.1	9.0	1.01	1.17	2.81
17:00	117	ლეჩე-ლივორნო	1.9	3.0	4.2	1.16	1.3	1.75
17:00	118	პალერმო-ატალანტა	1.55	3.1	7.5	1.03	1.28	2.19
17:00	119	პარმა-მილანი	4.5	3.2	1.75	1.87	1.25	1.13
17:00	120	რეჯინა-ბრეშა	2.1	2.9	3.65	1.21	1.33	1.61
17:00	121	რომა-სამპდორია	1.75	3.2	4.6	1.13	1.26	1.88
17:00	122	უდინეზე-სიენა	1.6	3.3	6.0	1.07	1.26	2.12
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		5 დეკემბერი						
20:00	154	ალბასეტე-ვალენსია	3.3	3.1	2.1	1.59	1.28	1.25
20:00	155	ატლეტიკო-ოსასუნა	1.9	3.3	3.7	1.2	1.25	1.74
20:00	156	ბარსელონა-მალაგა	1.2	5.5	12.0	1.0	1.09	3.77
20:00	157	ლევანტე-ხეტაფე	1.8	3.1	4.5	1.13	1.28	1.83
20:00	158	მალიორკა-ნუმანსია	1.85	3.2	4.0	1.17	1.26	1.77
20:00	159	რასინგი-დეპორტივო	2.7	3.2	2.4	1.46	1.27	1.37
20:00	160	სევილია-ბილბაო	1.8	3.3	4.1	1.16	1.25	1.82
20:00	161	სოსიედადი-ბეტისი	2.4	3.2	2.7	1.37	1.27	1.46
20:00	162	ვილიარეალი-რეალი	3.2	3.3	2.05	1.62	1.24	1.26
20:00	163	სარაგოსა-ესპანიოლი	2.15	3.3	3.0	1.3	1.25	1.57
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		3 დეკემბერი						
22:00	175	მონაკო-რენი	1.6	3.2	6.0	1.06	1.26	2.08
		4 დეკემბერი						
19:15	176	პსჟ-ლილი	2.1	3.0	3.4	1.23	1.29	1.59
22:00	177	სტ.ეტიენი-ტულუზი	2.05	2.9	3.7	1.2	1.31	1.62
22:00	178	სტრასბური-სოშო	2.5	3.0	2.7	1.36	1.29	1.42
22:00	179	ნანტი-ნიცა	2.0	3.0	3.7	1.2	1.29	1.65
22:00	180	კაენი-მარსელი	2.55	2.9	2.7	1.35	1.31	1.39
22:00	181	ისტრი-ბასტია	2.3	2.9	3.0	1.28	1.3	1.47
22:00	182	ლანსი-მეცი	2.1	2.9	3.6	1.21	1.32	1.6
22:00	183	აიაჩო-ლიონი	4.3	3.0	1.85	1.76	1.29	1.14
		5 დეკემბერი						
23:00	184	ოსერი-ბორდო	2.1	2.9	3.6	1.21	1.32	1.6
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		3 დეკემბერი						
22:00	186	ბრესტი-ანჟე	1.85	2.9	4.0	1.12	1.26	1.68
22:00	187	კრეტეი-კლერმონი	2.4	2.6	3.0	1.24	1.33	1.39
22:00	188	გრენობლი-ლორიანი	2.1	2.7	3.6	1.18	1.32	1.54
22:00	189	გენიონი-გენგამი	1.9	2.7	4.3	1.11	1.31	1.65

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	190	ლე ავრი-ნანსი	2.85	2.7	2.5	1.38	1.33	1.29
22:00	191	ლე მანი-ნიორი	1.9	2.7	4.3	1.11	1.31	1.65
22:00	192	მონპელიე-ლავალი	1.95	2.7	4.0	1.13	1.31	1.61
22:00	193	რეიმსი-ამიენი	2.3	2.6	3.4	1.22	1.37	1.47
22:45	194	სედანი-ტრუა	2.35	2.6	3.3	1.23	1.37	1.45
		6 დეკემბერი						
22:15	195	შატორუ-დიჟონი	2.0	2.6	4.0	1.13	1.33	1.57
		ბელგია. I დივიზიონი						
		3 დეკემბერი						
17:00	196	ლუვიე-გენტი	2.05	3.3	3.0	1.26	1.21	1.57
		4 დეკემბერი						
22:00	197	ბრიუგე-მონსი	1.15	5.5	12.0	1.0	1.04	3.77
22:00	198	ბეერსხოტი-ანდერლეხტი	3.95	3.2	1.8	1.76	1.23	1.15
22:00	199	ვენკი-ლიერსი	1.75	3.2	4.2	1.13	1.23	1.81
22:00	200	ვესტერლო-სტ.ტრუიდენი	1.8	3.2	3.9	1.15	1.23	1.75
22:00	201	მუსკრონი-სერკლი	2.0	3.1	3.4	1.21	1.25	1.62
		5 დეკემბერი						
17:00	202	სტანდარდი-ბევერენი	1.55	3.4	5.6	1.06	1.21	2.11
17:00	203	ბრიუსელი-შარლეროა	3.1	3.1	2.1	1.54	1.25	1.25
17:00	204	ლოკერენი-ოსტენდე	1.4	3.8	7.0	1.02	1.16	2.46
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		3 დეკემბერი						
22:00	214	ვალვაიკი-აიაქსი	4.7	3.6	1.6	2.03	1.19	1.1
		4 დეკემბერი						
21:30	215	გრაფსხაპი-პსვ	7.5	4.7	1.3	2.88	1.1	1.01
21:30	216	როდა-ვრონინგენი	1.9	3.2	3.7	1.19	1.25	1.71
21:30	217	როზენდალი-ბრედა	3.0	3.2	2.15	1.54	1.25	1.28
22:00	218	ტვენტე-დენ ბოსხი	1.65	3.5	4.5	1.12	1.2	1.96
		5 დეკემბერი						
16:30	219	ალკმაარი-დენ ჰააგი	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88
16:30	220	ფეიენოორდი-ნაიმეგენი	1.25	4.7	9.5	1.0	1.1	3.14
16:30	221	ვიტესი-უტრეხტი	2.1	3.1	3.3	1.25	1.28	1.59
16:30	222	ტილბურგი-ჰერენვენი	2.25	3.2	2.75	1.32	1.23	1.47
		თურქეთი						
		3 დეკემბერი						
21:00	258	ფენერბაჰჩე-ანკარაგიუჯიუ	1.15	5.0	12.0	1.0	1.04	3.52
		4 დეკემბერი						
17:00	259	დენიზლი-მალათია	1.85	3.4	3.6	1.19	1.22	1.74
17:00	260	დიარბაქირი-კონია	2.1	3.2	3.1	1.26	1.25	1.57
17:00	261	ტრაბზონი-რიზე	1.45	3.9	5.3	1.05	1.13	2.24
20:00	262	ვენჩლერი-ვალათასარაი	3.2	3.1	2.0	1.57	1.23	1.21
		5 დეკემბერი						
15:00	263	საკარია-კაისერი	2.15	3.2	2.9	1.28	1.23	1.52
15:00	264	გაზიანთეფი-სებათი	1.5	3.5	5.8	1.04	1.19	2.18
15:00	265	ანკარა-სამსუნი	2.05	3.1	3.2	1.23	1.24	1.57
20:00	266	ბეშიქთაში-ისთანბული	1.35	3.9	7.3	1.0	1.13	2.54
		მექსიკა						
		1 დეკემბერი						
23:45	581	ატლანტე-მონტერეი	1.8	3.2	3.9	1.15	1.23	1.75
		2 დეკემბერი						
23:45	582	პუმასი-ატლასი	2.1	3.3	2.9	1.28	1.21	1.54
		უეფას თასი						
		1 დეკემბერი						
22:45	311	ფერენცვაროში-ბახელი	2.35	3.3	2.65	1.37	1.24	1.46
22:45	312	ფეიენოორდი-შალკე	1.9	3.2	3.7	1.19	1.25	1.71
22:45	313	ბეშიქთაში-სტანდარდი	1.55	3.6	5.5	1.08	1.2	2.17
22:45	314	ბილბაო-სტიაუა	1.45	3.6	7.0	1.03	1.2	2.37
22:45	315	აუსტრია-ბრიუგე	2.35	3.3	2.7	1.37	1.25	1.48
22:45	316	სარაგოსა-დნიპრო	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88
22:45	317	სპორტინგი-სოშო	1.95	3.1	3.7	1.19	1.27	1.68
		2 დეკემბერი						
22:45	319	პარტიზანი-ვილიარეალი	2.65	2.7	2.65	1.33	1.32	1.33
22:45	320	ვალეო-ლაციო	3.3	3.4	1.9	1.67	1.2	1.21
22:45	321	ალკმაარი-რეინჯერსი	2.2	2.9	3.2	1.25	1.3	1.52

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	323	დინამო-ჰერენვენი	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	1.76
22:45	324	ბევერენი-ბენფიკა	5.5	3.6	1.55	2.17	1.2	1.08
22:45	325	სევილია-აეკ	1.3	4.5	8.0	[illegible]	[illegible]	2.88
22:45	326	ალემანია-ზენიტი	2.7	3.3	2.3	1.48	[illegible]	[illegible]
		ინგლისი. თასი						
		3 დეკემბერი						
22:30	332	სკანთორპი-რექსემი	2.1	3.2	2.9	1.26	1.21	1.52
22:45	333	კემბრიჯი-დონსი	3.5	3.1	1.95	1.64	1.25	1.19
		4 დეკემბერი						
16:00	334	ნორთჰემპტონი-ბერი	1.95	3.2	3.5	1.21	1.25	1.67
16:30	335	ჰიუსტონი-იოვილი	4.8	3.4	1.65	1.99	1.22	1.11
18:00	336	ჰალი-მაკლსფილდი	1.45	3.6	6.5	1.03	1.18	2.31
18:00	337	რაშდენი-კოლჩესტერი	2.75	3.3	2.25	1.5	1.23	1.33
18:00	338	ჰალიფაქსი-ჩესტერი	2.5	3.3	2.4	1.42	1.22	1.38
18:00	339	სტოკპორტი-სუონსი	2.25	3.3	2.75	1.33	1.23	1.5
18:00	340	ბლეკპული-პორტ ვეილი	2.15	3.3	2.9	1.3	1.23	1.54
18:00	341	სუინდონი-ნოტსი	1.4	4.1	6.6	1.04	1.15	2.52
18:00	342	უიკომბი-ლუტონი	3.8	3.4	1.8	1.79	1.22	1.17
18:00	343	სტივენეიჯი-როჩდეილი	2.5	3.2	2.5	1.4	1.25	1.4
18:00	344	ჰარტლპული-ალდერშოტი	1.35	4.3	7.2	1.02	1.13	2.69
18:00	345	ოლდჰემი-ლეიტონი	1.85	3.4	3.7	1.19	1.23	1.77
18:00	346	ჰერეფორდი-ბოსტონი	2.35	3.2	2.7	1.35	1.25	1.46
18:00	347	პიტერბრო-ბასი	1.25	5.0	9.0	1.0	1.09	3.21
		სამხ.ამერიკ.თასი						
		1 დეკემბერი						
23:45	579	ინტერნასიონალი-ბოკა სუნიორსი	1.75	3.2	4.4	1.13	1.25	1.85
		2 დეკემბერი						
23:45	580	ბოლივარი-უნივერსიტარია	1.65	3.3	4.95	1.1	1.23	1.98
		ინგლისი ლიგის თასი						
		1 დეკემბერი						
22:45	330	მანჩესტერი-არსენალი	1.85	3.4	3.8	1.19	1.24	1.79
22:45	331	ტოტენჰემი-ლივერპული	2.3	3.2	2.85	1.33	1.27	1.5
		როიალ ლიგა						
		2 დეკემბერი						
20:00	359	ესბიერგი-რუსენბორგი	2.6	3.4	2.3	1.47	1.22	1.37
20:00	360	ტრომსიო-კოპენჰაგენი	2.35	3.3	2.6	1.37	1.23	1.45
20:00	361	ოდენსე-ჰალმსტადი	2.0	3.4	3.1	1.25	1.21	1.62
22:00	362	ვოლერენგა-იურგორდენი	1.5	3.7	5.7	1.06	1.18	2.24
22:00	363	ბრიონდბიუ-გიოტებორგი	1.5	3.7	5.7	1.06	1.18	2.24
22:30	364	ბრანი-მალმიო	1.85	3.4	3.6	1.19	1.22	1.74

ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით


რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15311	ფერენცვაროში-ბასელი	3.0	2.8	2.0
15312	ფეიენოორდი-შალკე	3.0	2.8	2.0
15313	ბეშიქთაში-სტანდარდი	3.0	2.8	2.0
15314	ბილბაო-სტიაუა	3.0	2.8	2.0
15315	აუსტრია-ბრიუგე	3.0	2.8	2.0
15316	სარაგოსა-დნიპრო	3.0	2.8	2.0
15317	სპორტინგი-სოშო	3.0	2.8	2.0
15319	პარტისანი-ვილიარეალი	3.0	2.8	2.0
15320	ეგალეო-ლაციო	3.0	2.8	2.0
15321	ალკმაარი-რეინჯერსი	3.0	2.8	2.0
15323	დინამო-პერენვენი	3.0	2.8	2.0
15324	ბევერენი-ბენფიკა	3.0	2.8	2.0
15325	სევილია-აეკ	3.0	2.8	2.0
15326	ალემანია-ზენიტი	3.0	2.8	2.0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(ფასების 0-ი დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული ფასებულად ჩაითვლება)

14311	ფერენცვაროში-ბასელი	1.85	1.95
14312	ფეიენოორდი-შალკე	1.7	2.2
14313	ბეშიქთაში-სტანდარდი	1.5	2.4
14314	ბილბაო-სტიაუა	1.4	2.6
14315	აუსტრია-ბრიუგე	1.85	1.95
14316	სარაგოსა-დნიპრო	1.3	2.8
14317	სპორტინგი-სოშო	1.7	2.2
14319	პარტისანი-ვილიარეალი	1.9	1.9
14320	ეგალეო-ლაციო	2.2	1.7
14321	ალკმაარი-რეინჯერსი	1.75	2.1
14323	დინამო-პერენვენი	1.7	2.2
14324	ბევერენი-ბენფიკა	2.6	1.4
14325	სევილია-აეკ	1.25	3.0
14326	ალემანია-ზენიტი	1.95	1.85

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12311	ფერენცვაროში-ბასელი	1.85	1.75
12312	ფეიენოორდი-შალკე	1.8	1.8
12313	ბეშიქთაში-სტანდარდი	1.8	1.8
12314	ბილბაო-სტიაუა	1.85	1.75
12315	აუსტრია-ბრიუგე	1.75	1.85
12316	სარაგოსა-დნიპრო	1.7	1.9
12317	სპორტინგი-სოშო	1.7	1.9
12319	პარტისანი-ვილიარეალი	1.7	1.9
12320	ეგალეო-ლაციო	1.7	1.9
12321	ალკმაარი-რეინჯერსი	1.8	1.8
12323	დინამო-პერენვენი	1.8	1.8
12324	ბევერენი-ბენფიკა	1.9	1.7
12325	სევილია-აეკ	1.9	1.7
12326	ალემანია-ზენიტი	1.7	1.9

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13311	ფერენცვაროში-ბასელი	1.7	1.9
13312	ფეიენოორდი-შალკე	1.7	1.9
13313	ბეშიქთაში-სტანდარდი	1.7	1.9
13314	ბილბაო-სტიაუა	1.8	1.8
13315	აუსტრია-ბრიუგე	1.75	1.85
13316	სარაგოსა-დნიპრო	1.9	1.7
13317	სპორტინგი-სოშო	1.75	1.85
13319	პარტისანი-ვილიარეალი	1.7	1.9
13320	ეგალეო-ლაციო	1.7	1.9
13321	ალკმაარი-რეინჯერსი	1.6	2.0
13323	დინამო-პერენვენი	1.7	1.9
13324	ბევერენი-ბენფიკა	1.7	1.9
13325	სევილია-აეკ	1.85	1.75
13326	ალემანია-ზენიტი	1.7	1.9

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11311	ფერენცვაროში-ბასელი	3.5	10.0	20.0	4.2	4.4	5.0	20.0	10.0	4.4
11312	ფეიენოორდი-შალკე	2.8	10.0	20.0	3.8	4.4	6.5	20.0	10.0	5.6
11313	ბეშიქთაში-სტანდარდი	2.3	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.6
11314	ბილბაო-სტიაუა	2.1	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	[illegible]	[illegible]
11315	აუსტრია-ბრიუგე	3.5	10.0	20.0	4.4	4.4	5.0	20.0	10.0	4.4
11316	სარაგოსა-დნიპრო	1.9	12.0	30.0	3.5	5.0	11.0	20.0	11.0	11.0
11317	სპორტინგი-სოშო	2.9	10.0	20.0	3.8	4.4	6.5	20.0	10.0	5.6
11319	პარტისანი-ვილიარეალი	3.8	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.8
11320	ეგალეო-ლაციო	6.5	10.0	20.0	7.5	4.4	3.6	20.0	10.0	2.7
11321	ალკმაარი-რეინჯერსი	3.3	10.0	20.0	4.4	4.4	5.6	20.0	10.0	4.8
11323	დინამო-პერენვენი	2.7	10.0	20.0	3.6	4.4	7.0	20.0	10.0	6.0
11324	ბევერენი-ბენფიკა	8.0	10.0	20.0	9.0	4.6	3.5	20.0	10.0	2.3
11325	სევილია-აეკ	1.8	15.0	30.0	3.4	4.8	12.0	20.0	11.0	11.0
11326	ალემანია-ზენიტი	4.4	10.0	20.0	5.0	4.4	4.4	20.0	10.0	3.4

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ



ნინო წივწივაძე აზერბაიჯანული ხელბურთის საუკეთესო ხელი

ბაქოში გაიმართა ქალ ხელბურთელთა 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ექვსი ქვეყნის ნაკრები ორი საპლეიოფო საგზურისთვის იბრძოდა.

ამ ღონისძიებამ იმით დაგვაინტერესა, რომ აზერბაიჯანის ნაკრებში ჩვენი თანამემამულეები — ნინო წივწივაძე და ეკატერინე ჟიჟიაშვილი თამაშობენ. მესამე წელია, ისინი ამ ქვეყნის საუკეთესო კლუბის, ბაქოს **ABY**-ს ღირსებას იცავენ, თანაც წარმატებით — უკვე სამგზის ჩემპიონები არიან და აზერბაიჯანის ხელბურთის ხელმძღვანელთა თხოვნით, იქაური მოქალაქეობა მიიღეს, რათა ნაკრებს დახმარებოდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ციკლში.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ შეჯიბრების დელეგატად მერაბ მეტრეველი მიავლინა. როგორც გუშინ ბაქოდან დაბრუნებულმა ბატონმა მერაბმა გვამცნო, ჩვენს მეზობლებს ტურნირი სანიმუშო ორგანიზაციულ დონეზე მოუწყვიათ. ცხადია, მასპინძლობა იმად ითავეს, რომ პლეი ოფში გასვლის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ამდენი ცდა კინაღამ წყალში ჩაეყარათ. საშუალო ძალის საბერძნეთთან პრაქტიკულად მოგებულ მატჩში ბოლო ორ წუთში ორი უპასუხო გოლი გაუშვეს და მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ — 24:24. და უკვე საგზურგანაღდებულ პორტუგალიელებს ბულგარეთთან თავი რომ არ მოეკლათ (24:23), აზერბაიჯანი ხელმოცარული დარჩებოდა.

ბერძნებთან კი იმიტომ გაუჭირდათ, რომ მეორე ტაიმი ტრავმირებული ლიდერის გარეშე ჩაატარეს. წივწივაძეს შესვენების წინ მეტოქე ეუხეშა, ნინო დაეცა და მუხლი მძიმედ დაიშავა. ფეხი თაბაშირში ჩაუსვეს და მისთვის ტურნირი დასრულდა. ტრავმის შესახებ წერილის ბოლოს, მანამდე კი გთავაზობთ შეჯიბრების დაწყებამდე ბაქოს პოპულარულ სპორტულ ჟურნალ „სპორტსმენის“ ინტერვიუს ნინო წივწივაძესთან.

გია ახალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЛУЧШАЯ РУКА АЗЕРБАЙДЖАНСКОГО ГАНДБОЛА

როგორც ბოლო წლები გვიჩვენებს, აზერბაიჯანი არ აპირებს თანამედროვე სპორტის ტენდენციისგან ჩამორჩენას. ლაპარაკია ამა თუ იმ ლეგიონერის ნატურალიზაციაზე, გააზერბაიჯანელებაზე. ზოგი ალბათ გაკიცხავს ამგვარ ნაბიჯებს, მაგრამ თანამედროვე სპორტში უამისოდ ფონს უკვე ვერ გახვალ. ჩვენში ეს გზა გაიარეს ფეხბურთმა, ფრენბურთმა, ხელბურთმა, ძალოსნობამ, თავისუფალმა და ბერძნულ-რომაულმა ჭიდაობამ, მხატვრულმა ტანვარჯიშმა.

ამჟამად არ ვაპირებთ კონკრეტულად ყველა მათგანის ჩამოთვლას. გადავწყვიტეთ, ყურადღება გავამახვილოთ მათ შორის საუკეთესოზე — ნინო წივწივაძეზე, რომელსაც ტყუილად არ შეარქვეს „აზერბაიჯანული ხელბურთის საუკეთესო ხელი“

— თუ არ ვცდები, აზერბაიჯანის ნაკრებში პირველად 2002 წლის აპრილში გამოჩნდით „ჩელენჯ თროპის“ გათამაშებისას. მაგრამ მანამდე, იანვარში ჩამოხვედით ბაქოში ABY — „გალიჩანკას“ თამაშების წინ. სწორედ მაშინ შემოგთავაზეს ჩვენს ნაკრებში თამაში?

— ისე, მე და ჩემი მეგობარი ეკატერინე ჟიჟიაშვილი ABY-ში სათამაშოდ მოგვიწვიეს. თუმცა, ვფიქრობ, სადაც კლუბი, იქაც ნაკრები. ჩვენ ბაქოში მოგვიწვია კლუბის პრეზიდენტმა კიაზიმ გიულმამედოვმა. ადრე როსტოვის „ისტორჩიკში“ ვთამაშობდი, სადაც ჩემი მეგობარი იყო თქვენი ხელბურთელი ელენა ნეჩაი. მერე უკრაინის „მოტორში“ გადავედი, შემდეგ კი სამშობლოში დავბრუნდი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საბერძნეთის ნაკრებთან მარცხის მერე თქვენი გუნდის ხელმძღვანელობა უკანა ხაზის მოთამაშეს ეძებდა და ნეჩაის რჩევით, მე დამიკავშირდნენ.

— სამშობლოში რით იყავით დაკავებული?

— პრაქტიკულად არაფრით. ტრავმის გამო თითქმის მივატოვე ხელბურთი. მომბეზრდა გამუდმებული ტრავმები და მკურნალობა. იმ მომენტში მომიპატიჟეს ბაქოში. ბუნებრივია, მაშინვე დავთანხმდი. ზოგიერთ თქვენს მოთამაშეს კარგა ხანია, ვიცნობდი და ურთიერთობაში პრობლემა არ მქონია.

— ჩვენს ნაკრებში თქვენი მონაწილეობით პირველივე ძატჩის შემდეგ, ეს კი ბელგიასთან თამაში იყო, ნათელი გახდა, რომ გუნდში ბომბარდირი გამოჩნდა. იმ თამაშზე რა მოგონებები დაგრჩათ?

— მახსოვს, ის მატჩი დიდი სხვაობით, 28:19 მოვიგეთ. მე ძალიან მეშინოდა და დაძაბული ვიყავი, რადგან ვთვლიდი, რომ გულშემატკივრები ჩემგან გოლების გატანას მოითხოვდნენ. ძალიან ვცდილობდი, მაგრამ თავიდან არაფერი არ გამომდიოდა. პირველი ტაიმი ჩავაფლავე და მხოლოდ შესვენების შემდეგ დავწყნარდი, თამაშიც წამივიდა. მას მერე ორი წელი გავიდა და გუნდში საქმეები ძალიან კარგად მიდის. შეთამაშებულები ვართ და, ვფიქრობთ, ჩვენი საუკეთესო მატჩები წინაა.

— წინა შესარჩევ ციკლში თქვენ ისევ გამოიჩინეთ თავი, როცა შვეიცარიის, ბულგარეთისა და საბერძნეთის ნაკრებების კარში 35 გოლი გაიტანეთ, რაც მთელი გუნდის გოლების ორმოცი პროცენტია.

— ეს უკვე წარსულია. ახლა მომავალ მეტოქეებზე ვფიქრობ. ჩვენ გვაქვს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი და ამისთვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ.

— როგორია ბაქოში თქვენი ყოველდღიური ცხოვრება?

— ნორმალური. მე და ეკა ოროთახიან ბინაში ვცხოვრობთ, ოლიმპიურ-სპორტული კომპლექსის სიახლოვეს. კვებასთან დაკავშირებით პრობლემები არ გვაქვს, თვითონ ვამზადებთ. ზოგჯერ ჩემი ძმა ჩამოდის. დააყენა თანამგზავრული ანტენა, ასე რომ, ვიჭერთ ქართულ გადაცემებს. ერთი სიტყვით, მოწყენილები არ ვართ. ქალაქში მცნობენ, ერთხელ მე და ეკა ავტობუსის გაჩერებაზე ვიდექით. მოვიდა ახალგაზრდა კაცი, გვიცნო, ხელბურთელები ამდენ ხანს არ უნდა იცდიდნენო. ტაქსი გამოიძახა და ფულიც თავად გადაიხადა.

— ამბობენ, რომ თქვენ ძალიან გიყვართ ხუმრობა, მძიმე წუთებში ცდილობთ, ყველა გაამხიარულოთ.

— უბრალოდ, მიყვარს იუმორი და ყველთვის, როგორც კი ხუმრობას ვიწყებ, ყველა იცინის. როცა ხასიათზე არ ვართ, გოგოები მთხოვენ, გავამხიარულეო. მეც ვიწყებ... ჩვენი მწვრთნელი ასეთი მომენტების მომხრეა, მშვენივრად ესმის, რომ საჭიროა დაძაბულობის მოხსნა, მოშვება.

გია ახალაძის ფოტო

ის ძველი კეთილი დრო (1996), როცა საქართველოში ქალთა ხელბურთი იყო და ჩემპიონიც გვყავდა — „მართვე“. ნინო წივწივაძე (№11), ეკატერინე ჟიჟიაშვილი (№7)

მერაბ მეტრეველის კომენტარი:

წივწივაძე ძალიან პოპულარულია იქაურ სპორტის სპეციალისტთა და ქომაგთა შორის. კლუბის და ნაკრების ხელმძღვანელებიც მას დიდ პატივს სცემენ. ნინოს უცხოეთიდან მიწვევები კი აქვს, მაგრამ აზერბაიჯანელები მის არსად გაშვებას არ აპირებენ.

ნინომ ეს ტურნირიც ჩინებულად დაიწყო, სამ თამაშში 29 გოლი გაიტანა და დაცვაშიც საიმედოდ მოქმედებდა. საბერძნეთთან შეხვედრაში მხოლოდ ოთხჯერ მოასწრო გატანა, პირველი ტაიმის მიწურულს მეტოქემ მუხლი მუხლში მიარტყა და მძიმე ტრავმაც მიაყენა. ექიმებმა მენისკი დაუდგინეს, საოპერაციო ხარო. ნინო დღეს ჩამოვა თბილისში და ოპერაციასაც ალბათ აქ გაიკეთებს.

მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდი

პირველი ჯგუფი

აზერბაიჯანი 28:21 ბულგარეთი

წივწივაძე — 11 გოლი, ტანკასკაია — 6, რუსიაევა — 5

აზერბაიჯანი 22:25 პორტუგალია

წივწივაძე — 12, რუსიაევა — 3

აზერბაიჯანი 26:17 შვეიცარია

წივწივაძე — 6, ტანკასკაია — 6, გორბუნოვა — 4, რუსიაევა — 3

აზერბაიჯანი 24:24 საბერძნეთი

აბასოვა — 5, წივწივაძე — 4

აზერბაიჯანი 32:22 იტალია

გორბუნოვა — 7, რუსიაევა — 7, ტანკასკაია — 6

პორტუგალია	5	0	0	135:105	10
აზერბაიჯანი	3	1	1	132:109	7
ბულგარეთი	3	0	2	142:115	6
საბერძნეთი	2	1	2	124:139	5
შვეიცარია	1	0	4	118:144	2
იტალია	0	0	5	106:145	0

მეორე ჯგუფი

პოლონეთი	5	0	0	153:119	10
მაკედონია	2	2	1	149:134	6
სლოვაკეთი	2	2	2	130:127	6
ლიტვა	2	1	2	143:139	5
ისლანდია	1	1	3	129:143	3
თურქეთი	0	0	5	138:180	0

პორტუგალია და აზერბაიჯანი, პოლონეთი და მაკედონია გავიდნენ პლეი ოფში

ეროვნული ბიბლიოთეკა

225-სანტიმეტრიანი მეგობარი

ზვიად ბაბიაშვილი აზერბაიჯანულ ოაზისში

სეზონის წინ სეკვესტრირებული „დინამოდან“ წასული კალათბურთელებიდან ყველაზე მეტად ზვიად ბაბიაშვილს გაუმართლა. ივი არც ირანში წასულა და არც იმის იქით — აქვე, ყურის ძირში, ძლიერი გუნდიც მონახა და პირობებიც დამაკმაყოფილებელი. აზერბაიჯანული „გალა“ იმ დონის გუნდია, რომ შიდაჩემპიონატში ბადალი არ ჰყავს და ევროსარბიელზეც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. თანაც ბაბიაშვილს ევროკალათბურთში ქიპმოჭრილი რიმას კურტინაიტისი წვრთნის, გუნდელებად კი ქარმაგი ლიტველი ვარსკვლავყოფილი კალათბურთელები ჰყავს. ასე რომ, „ბაბო“ ევროპაშია, ოღონდ აფშერონის ნახევარკუნძულზე იმყოფება. ბაბიაშვილს გუშინ ბაქოში შევეხმიანეთ და პირველ რიგში ფიბა-ევროპის თასზე მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვება მივულოცეთ...

— შენ თუ ხარ შენი თავით კმაყოფილი?

— კმაყოფილი ვარ. ახლა უკვე ალღო ავუღე თამაშს, მანამდე კი ცოტა მიჭირდა... აზერბაიჯანის ჩემპიონატში თამაშს არ ვგულისხმობ, ფიბა-ევროპისა და ამხანაგურ მატჩებზე ვამბობ. „გალას“ ამ სეზონში ბარე ხუთჯერ მეტი მატჩი აქვს ნათამაშები ევროპულ კლუბებთან, ვიდრე აზერბაიჯანელებთან, ჰოდა, მეც მიჭირდა თავიდან, რადგან ევროპულ დონეზე კარგა ხანია, აღარ მეთამაშა.

— თუ გიჭირდა, რატომ ჩაგრიცხეს „გალაში“?

— მე ისე არ გამჭირვებია, როგორც სხვა „გალასგან“ დაწუნებულ მოთამაშეებს. კურტინაიტისმა ჩემში ალბათ დაინახა იმის პერსპექტივა, რომ მის გუნდს ევროსარბიელზე გამოვადგებოდი და ამიყვანა კიდეც.

— მერედა, როგორ მოახერხე ასეთი კარგი ვარიანტის გამონახვა ასე მოკლე დროში? აგვისტოში „დინამო“ დაიშალა თუ არა, „გალაში“ აღმოჩნდი...

— ყველაფერი მართლაც უცაბედად მოხდა. აზერბაიჯანში თამაშობს ჩემი ბავშვობის მეგობარი ირაკლი გელაშვილი, რომელმაც ხმა მიაწვდინა „გალას“, მათ კი ჩემი მონაცემები ინტერნეტის საშუალებით ნახეს. მერე თავად „გალადან“ დაურეკეს გელაშვილს, უთხრეს, ჩამოვიდეს შენი მეგობარი, შევხედავთ და თუ მოგვეწონა, დავიტოვებთო. ჩავედი და აზერბაიჯანელ მწვრთნელებს მოვეწონე, თუმც ჩემი გუნდში აყვანა ცოტა მოგვიანებით გადაწყდა, როცა ლიტვიდან რიმას კურტინაიტისი ჩამოვიდა.

— ბაქოს როგორ შეეგუე?

— არ გამჭირვებია, რადგან აქ ქართველებს ძალიან აფასებენ და პრობლემებიც თითქმის არ მექმნება. ბაქო ძალიან ლამაზი ქალაქია, როცა თავისუფალი დრო მაქვს, დიდი სიამოვნებით ვსეირნობ.

— პირობებით კმაყოფილი იქნები...

— არაფერს ვუჩივი, ყველაფერი მშვენივრადაა. გუნდიც ძალიან მეგობრულია. განსაკუთრებით ლიტველებთან ვახლობლობ და ერთი აზერბაიჯანელი ძმაკაციც მყავს, 225-სანტიმეტრიანი საშა.

— 225 სანტიმეტრი?

— ჰო, ამხელაა და მომავალ წელს ალბათ ნბა-ში დრაფტზეც აიყვანენ. საშა ბაქოელი არაა და ჩემთან ერთად ცხოვრობს. მას სპეციალური საწოლი აქვს, სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებიც მის ზომაზეა მორგებული. მე ცალკე ოთახში მძინავს, რადგან მთელი სივრცე მას უკავია.

— როდემდე დარჩები ბაქოში?

— კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს და მერე რა იქნება, არ ვიცი.

— „ნიკოლაევი“ სტუმრად დაამარცხეთ და ფაქტობრივად ჯგუფიდან გახვედით. მოსალოცი ამბავია, თან შენ ერთ-ერთი საუკეთესო იყავი...

— თითქმის გასულები ვართ, მაგრამ არის ვარიანტი, ჩვენს ნაცვლად „ნიკოლაევი“ გაძვრეს ჯგუფიდან. ამისთვის უკრაინელებმა გასვლაზე უნდა მოუგონ ლიტვის „შაულიაის“, ჩვენ კი შინ უნდა დავმარცხდეთ ბალტიისპირელებთან.

— უკრაინაში მძიმე ბრძოლა გადაიტანეთ?

— ძალიან დაძაბული და სანახაობრივი თამაში გამოვიდა, ორივე გუნდი ასქულიან ზღვარს ავცდით, თუმც საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვეთ. ეს თამაში რომ წაგვეგო, ჯგუფში ვრჩებოდით და „გალას“ ხელმძღვანელობის შორსმიმავალი გეგმებიც იფუშებოდა.

— აზერბაიჯანულ გუნდს ამხელა ამბიცია აქვს?

— რა თქმა უნდა. „გალაში“ იმხელა ფულია ჩადებული და ისეთი ხალხია ჩამოყვანილი, მხოლოდ აზერბაიჯანის ჩემპიონობით სულელი თუ იქნება კმაყოფილი. როგორც იცით, „გალას“ რიმას კურტინაიტისი წვრთნის, რომელმაც ლიტვიდან 5 ლეგიონერი ჩამოიყვანა. გვყავს ორი ამერიკელიც, აზერბაიჯანელი კი მხოლოდ სამია.

— ესე იგი, აზერბაიჯანის ჩემპიონობა მზესუმზირის ჭამასავით იოლი ყოფილა „გალასათვის“...

— აქამდე ნაღდად ასე იყო. „გალა“ ისე ხდებოდა აზერბაიჯანის ჩემპიონი, 50 ქულაზე ნაკლებით თამაშს არ იგებდა. ახლა „ნეფტდევონი“ გამოჩნდა, რომელსაც, გეცოდინებათ და, ნუგზარ კანდელაკი წვრთნის. ერთი და ისიც სავარაუდო კონკურენტი სწორედ ეს გუნდია ჩვენთვის. ერთხელ უკვე შევხვდით „დევონს“ და 30 ქულით მოვუგეთ, მომდევნო მატჩი კი ოთხ დეკემბერს გველის.

— მაშ, რას უმიზნებს კურტინაიტისი?

— პირველ რიგში ფიბა-ევროპის თასის ჯგუფიდან უნდა გავსულიყავით და ამას თითქმის უკვე მივაღწიეთ. არ ვიცი, კონკრეტულად რა გეგმა აქვს ჩვენს ხელმძღვანელობას, მაგრამ, როგორც ამბობენ, ფიბა-ევროპის თასის ოთხ საუკეთესო გუნდში სურთ მოხვედრა, საიდანაც ავტომატურად გადავლენ ფიბა-ევროლიგაში. ხომ ისედაც ლეგიონერებით ვართ სავსე და კიდევ ორი ამერიკელის ჩამოყვანას აპირებენ, სხვანაირად საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა ძალიან გაგვიჭირდება.

— კურტინაიტისი შენი თამაშით კმაყოფილია?

— სხვათა შორის, ჩემთან მას ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. კურტინაიტისი ძალიან მკაცრი და მომთხოვნი მწვრთნელია, რის გამოც ხანში შესულ მოთამაშეებთან ხანდახან მცირე კონფლიქტი მოსდის. ჩემს მიმართ კი ის მეტად კეთილგანწყობილია, რადგან რასაც მეუბნება, ყველაფერს ვასრულებ.

— ხუთეულში თუ გაყენებს?

— ხან კი, ხან არა. მაგალითად, ნიკოლაევში რომ მოვიგეთ, თავიდანვე გავედი მოედანზე, ლიტვაში „შაულიაის“ წინააღმდეგ კი მხოლოდ 17 წუთი მათამაშა.

ირაკლი ბერტაია



დიჟონმა ლეჟავას იხმო

კიდევ ერთი ქართველი გაფრინდა საფრანგეთში

კიდევ ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გაემგზავრა საფრანგეთში. საით გასწევდა, თუ არა „დიჟონისკენ“. ვახტანგ ნაცვლიშვილის, ვიქტორ სანიკიძისა და გიორგი მამაცაშვილის მნახველმა დიჟონელებმა კიდევ ერთ ჩვენიანს დაადგეს თვალი — თსუ-ელი ბესო ლეჟავა გასასინჯად მიიწვიეს.

სანამ ასაკი მოემატებოდა, ბესიკ ლეჟავა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი გახლდათ, ახლა კი, თუ ისეთივე წარმატებით ითამაშებს, როგორც ამ ბოლო ხანებში, ეგებ ახალგაზრდულ ნაკრებსაც გამოჰკრას ხელი. მანამდე კი მას არანაკლები გამოცდა ელის საფრანგეთში.

„დიჟონში“ მოთამაშე ვიქტორ სანიკიძის დახმარებით ლეჟავა საფრანგეთში გაემგზავრა და თუ შეძლებს იმის წარმოჩენას, რაც მას რეალურად შეუძლია, დიჟონელები ალბათ დაიტოვებენ კიდეც.

ლეჟავას კი მართლაც ბევრი რამ შეუძლია. მას გამართული სამიზნე აქვს და სამქულიანებითაც უხვად კვებავდა თსუ-ს, სანამ დიჟონში წავიდოდა. ლეჟავა თამაშობდა იმ „აკადემიაში“, სადაც ახლა „სამარაში“ მყოფი გიორგი ცინცაძე ამობრწყინდა. მაშინ „აკადემიაში“ ბურთის „მესაკუთრე“ სწორედ ცინცაძე გახლდათ, თორემ არანაკლებ ნიჭიერი ლეჟავა ეგებ აქამდეც წასულიყო ევროპისკენ.

ირაკლი ბერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 29 ნოემბერი —

დენვერი 76:67 შარლოტი

დენვერი: ბოიკინსი (22), მილერი (14), რასელი (12), მარტინი (10)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

შარლოტი: ნესლონი (16), ბრაუნი (11), ჰარინგტონი (10)

ორლანდო 101:117 ბოსტონი

ორლანდო: თურქოღლუ (18), კატო (14 ქულა, 12 მოხსნა), ფრენსისი (14), ჰილი (11)

ბოსტონი: პირსი (24), ბანკსი (20), ჯეფერსონი (16), ლაფრენსი (14), დევისი (13)

კლიპერსი 94:82 კლივლენდი

კლიპერსი: ბრენდი (30), საიმონსი (17 ქულა, 10 მოხსნა), იარიჩი (16 ქულა, 11 პასი)

კლივლენდი: ჯეიმსი (22), ილგაუსკასი (16), ჰარისი (11)



REUTERS

წლეულს ჯანზე მოსულმა გრანტ ჰილმა რიგიანად კი ითამაშა, მაგრამ მისმა „ორლანდომ“ „ბოსტონთან“ მაინც დათმო



ბადრი ბერიძეს ფოტო

ბოდიში ბერძნებს ჯარჯი ზვიადაურო, ლილოელო ოქროკაცო

ლილო თბილისის ძალიან გარეუბანია. არაფრით გამორჩევა, მაგრამ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ხიბლი შეემატა. უბანში ლურჯი ფერის „ფოლცვაგენი“ გამოჩნდა, ოღონდ ეს არაჩვეულებრივი ავტომობილია, რადგან საჭესთან ალალი ლილოელი ქართველი ოქროკაცი ზის.

გუშინწინ სამსახურში შევყოვნდი და სახლში დამაგვიანდა. კახეთის გზატკეცილით დასახლების ჩასახვევამდე მე და ჩემმა მეგობარმა როგორღაც მივაღწიეთ და სახლისკენ ფეხით გავეშურეთ. ცალი თვალი უკან გამირბოდა, ეგებ ვინმემ მანქანით გამოიაროს და გზა შეგვიმოკლოს-მეთქი. გვიანი იყო, დაახლოებით თერთმეტი საათი. სიბნელე ავტომობილის შუქმა გაანათა, ხელი გავუქნიეთ — გააჩერა.

უკან სავარძელზე მოვთავსდით და სარკეში მძღოლის სახე მეცნო — ჯარჯი ზვიადაური იყო. დამაჟრიალა. მივულოცე და შინაურულად ვისაუბრეთ.

ჯარჯიმ გაიხსენა, როგორ გაჭირვებით დადიოდა ლილოდან ვარჯიშებზე და ღამე სახლისკენ მომავალს გზად ზოგი უჩერებდა მანქანას, ზოგი კი არა. „მაშინ ვთქვი, თუ ოდესმე ავტომობილი მეყოლება, გაზში არავის დავტოვებ“ — ისეთი სევდანარევი ხმით ამოთქვა, ცრემლდამშრალ კაცსაც აატირებდა.

ბერძნებთან უკაცრავად, მაგრამ ჯარჯი ზვიადაური ლილოელია.

ვაჟა ხუციშვილი

სიმღერები პეკინზე არის ყველა ენაზე

პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიური თამაშების ჰიმნის კონკურსს დღეიდან იწყებს. სააგენტო სინხუას ცნობით, ამ აქციის მთავარი მიზანი რაც შეიძლება მეტი კონკურსანტის მიზიდვა და ამით ჩინეთის ოლიმპიური მოძრაობის მაქსიმალურად გახმაურებაა.

„კონკურსზე ნებისმიერი მუსიკალური სტილის ნამუშევარს მივიღებთ — აცხადებს ოლიმპიადის ორგკომიტეტის კულტურის დეპარტამენტის შეფი ჩან მინა — მთავარია, მასში ოლიმპიური სულისკვეთება იგრძნობოდეს. ვიწვევთ ყველას, პროფესიონალი კომპოზიტორებიდან უბრალოდ მუსიკის მოყვარულებამდე, როგორც ჩინეთიდან, ისე სხვა ქვეყნებიდან.“

მუსიკალური განაცხადების მიღება 2005 წლის 25 აპრილს დასრულდება, ხოლო გამარჯვებული ჰიმნი ივნისში გვეცოდინება. მუსიკალურ ნაწარმოებებს პროფესიონალ კომპოზიტორთა და მუსიკოსთა საგანგებოდ შექმნილი კოლეგია შეაფასებს. საუკეთესო ათეულში მოხვედრილი სიმღერების ავტორები კი 1200 დოლარით წახალისდებიან.

ოთარ მაღლაკელიძე

თათრული დრიმ თიმი

იაგრმა რუსეთი მოაჯადოვა

სანამ ჩრდილოამერიკის ჰოკეის ლიგაში ბოქლომები უკანგდება, ევროპაში ჰოკეის ნამდვილი ბუმია. ვფიქრობთ, შეხსენება აღარ გჭირდებათ, თუ რასთანაა დაკავშირებული ყოველივე ეს, უბრალოდ დავძენთ, რომ ნჰლ-ში მძვინვარე ლოკაუტის გამო დღესდღეობით ევროპაში უკვე 280-ზე მეტი ოკეანგალმელი გადმობარგდა და მათი გავლენა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება

ნჰლ-ელები ბლომად მოგრიგდნენ შვედეთში, ფინეთში, ჩეხეთში და სხვა ქვეყნებში. მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ უდიდესი აჟიოტაჟი მაინც რუსეთში შეიმჩნევა, განსაკუთრებით ნოემბრის მეორე ნახევრიდან, როცა იქ რამდენიმე ექსტრა-კლასის მოთამაშე ჩავიდა. მაგალითად, ყაზანის „აკ ბარსში“ ერთბაშად ორი კანადელი — სუპერფორვარდი, სტენლის თასის მფლობელი ვენსან ლეკავალიე და ბრედ რიჩარდსი აღმოჩნდა, რომლებსაც ალექსეი კოვალიოვი, ნიკოლაი ხაბიბულინი და დარიუს კასპარაიტისი შეუერთდნენ. ყაზანში მანამდე მოთამაშე ილია კოვალჩუკსაც თუ გავიხსენებთ, იოლად დავასკვნით, რომ თათრული კლუბი ნამდვილ „დრიმ თიმად“ იქცა. ავტონომიური რესპუბლიკის მამების — „აკ ბარსს“ თვით თათრეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია პატრონობს — ზრახვები გასაგებია. წლეულს ყაზანი დაარსების ათასაუკუნოვან იუბილეს ზეიმობს, ჰოდა, ცხადია, იქ ამ დღესასწაულის დამშვენებას ჩემპიონატის მოგებით ცდილობენ.

ზემოთხსენებული ვარსკვლავების ჩამოსვლამდე „აკ ბარსი“ რუსეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე მიდიოდა, მაგრამ ზედიზედ ოთხი მატჩის მოგების შემდეგ უკვე მეორეზე აღზევდა და ეს ძირითადად სწორედ ნჰლ-ელების დამსახურება გახლავთ. განსაკუთრებით კოვალიოვი, ხაბიბულინი და ლეკავალიე გამოირჩევიან. ამ უკანასკნელმა არა მხოლოდ თავისი უზადო ოსტატობა გამოამჟღავნა, არამედ თავი ნამდვილ მეომრად წარმოაჩინა. ფეთქებად ლეკავალიეს თავის „ტამპაში“ იშვიათად თუ ეძლევა თავის ასე გამოჩენის შანსი, ვინაიდან გუნდის თავკაცი საკმაოდ მკაცრ თამაშს ქადაგებს და ვენსანს ასეთი „გალალებისთვის“ ტაშს არ უკრავენ. აი, ყაზანში კი მილიონერ ვარსკვლავს ვინ გაუბედავს საყვედურს, ამიტომაც ლეკავალიემ ფრთები გაშალა. მას ამ საქმეში არც ილია კოვალჩუკი ჩამორჩება. მოსკოვის „დინამოსთან“ ბოლო მატჩში, რომელიც „ბარსებმა“ 2:3 წააგეს, კოვალჩუკმა არბიტრების მიმართ უკმაყოფილება ისე ემოციურად გამოხატა, რომ ლაძის თანამსაჯი შემოელახა, შემდეგ კი ყვანჯი მთელი ძალით ბორტს მიანარცხა. ილიას გულისწყრომა გასაგებია, მას ხომ 18 თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გაუტანია და ეს მაშინ, როცა ნჰლ-ში ლაძის ყოველ თამაშში რეგულარულად გამოირჩეოდა.

აჟიოტაჟის მეორე ეპიცენტრად კი ციმბირის ომსკი იქცა, სადაც თვით იაროსლავ იაგრმა თავისი ნებით ისურვა ჩასვლა. თანაც ჩეხი იქ შობლიურ კლუბნოში ხანმოკლე გაჩერების შემდეგ აღმოჩნდა. როგორც ჩანს, იაგრის ომსკში მოხვედრის ერთ-ერთი მიზეზი სოლიდური ჰონორარი გახდა — საკვირაოდ ჩეხ ვარსკვლავს დღეში 10 000 დოლარს უხდიან! მართალია, ბოლო ხანებში იაგრი ისე არ ბრწყინავს, როგორც ეს მას წინა წლებში სჩვეოდა, მაგრამ თავისი კომუნიკაბელურობის და ენაწყლიანობის გამო ის მაინც უზომოდ პოპულარულია. მოკლედ იაგრი დღესაც იაგრია და თქვენ წარმოიდგინეთ, მისი ახალი კლუბის მოსკოვის ცსკას-თან მატჩზე ორგანიზატორებს უპრეცედენტო ნაბიჯის გადადგმაც კი მოუხდათ: მათ უფასოდ დაუშვეს ტრიბუნებზე ის ასობით ქომაგი, რომელმაც ბილეთის შოვნა ვერ მოახერხა. იაგრმაც თითქოს იგრძნო ეს განსაკუთრებული ატმოსფერო და სწორედ ამ მატჩში (ჩეხისთვის რუსეთში რიგით მეოთხე იყო) ბრწყინვალედ გაისარჯა — ჰეთრიქი შეასრულა, თანაც გოლები ერთი მეორეზე ლამაზი გამოუვიდა, აქედან ბოლო კი ბულიტით ვიტანა. ცხადია, ამ მატჩის შემდეგ, რუსეთის სპორტულ პრესაში იაგრს დამსახურებული დითირამბები უმღერეს, ყველაზე ლამაზად კი „სპორტ-ექსპრესმა“ დაწერა, იაროსლავ მა თავისი ნიჭით ის მოიტანა, რაც ფულით არ განისაზღვრება — მან ჰოკეით ტკბობის დაბრუნებული გრძნობა დაგვიბრუნა.

სამველ ღარიბიანი



იაროსლავ იაგრმა რუსეთში გბილადა

ძმები კლიჩკოები: გაუმარჯოს იუშჩენკოს!



უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები აპოგეას აღწევს და რა გასაკვირია, რომ ენებათაღელვა სპორტსმენებსაც გადაედოთ.

მსოფლიო კრივის სამყაროში უცნობილესი ძმები — ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოები ვიქტორ იუშჩენკოს მხარდამჭერ სატელევიზიო კამპანიას აწყობენ, რომელშიც სპორტის, კინოსა და მუსიკის მეგა-ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას. სახელები გნებავთ? ფრანც ბეკენბაუერი, ბორის ბეკერი, სტინგი, ჯო კოკერი, კრის დე ბურგი, „კრაინბერისი", „კერი"...

„საერთაშორისო ზეწოლა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ამის გარეშე არაფერი გამოვა, თორემ რა ხდება: ხალხი უკვე კვირაზე მეტია, მიტინგს მართავს და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. მათ დემოკრატია სურთ. თანადგომა სჭირდებათ" — განაცხადა ვლადიმერ კლიჩკომ, რომელიც ამ კამპანიაში თავის უფროს ძმაზე აქტიურადაა ჩართული. საქმე ისაა, რომ ვიტალი კლიჩკო ლასვეგასში ემზადება დიდი ბრძოლისთვის — 11 დეკემბერს ნიუ-იორკში WBC-ის ქამარი ბრიტანელ დენი უილიამსთან მუშტი-კრივში უნდა დაიცვას.

ისე, ერთი ფეხი ალთას მქონდა, მეორე ბალთასაო, ძმებმა კლიჩკოებმა უნდა თქვან. ჯერ იუშჩენკოს მხარდაჭერა, მერე ბრძოლა და აგერ, [illegible] ვიტალი-ვლადიმერის პრომოუტერული კომპანია „K2" გერმანულ „საურლენდ ევენსტთან" თანამშრომლობას აფართოებს. 11 დეკემბრის ვიტალი კლიჩკო — დენი უილიამსის ბრძოლის წინ, ნიუ იორკშივე „საურლენდ ევენტსის" ორი პერსპექტიული მოკრივეც — გერმანელები კაი კურცევი და დანილო ჰოისლერი გაიქნევს მუშტებს. ყველა ამ შეხვედრის რეპორტაჟს გერმანული არხი „არდ" გადასცემს და ბუნებრივია, გერმანელებისთვის (ისევე როგორც მთელი ევროპა) ეს ტრანსლაციები ორმაგად საინტერესო იქნება.

ვლადიმერ კლიჩკო უფრო დეტალურად ხსნის: „დროდადრო სხვა პრომოუტერებთანაც ვიმუშავებთ. 11 დეკემბრის საღამოს ორგანიზაციას „საურლენდთან" ერთად ვაკეთებთ, მაგრამ პრომოუტერი ჩვენი კომპანია „K2" იქნება. გარანტიას გაძლევთ, რომ ჩვენი პრომოუტერები თავადვე მე და ვიტალი ვიქნებით."

ილია ნანობაშვილი



დაიჭით, ქურდები!

ფერარის ბინა გაუტეხეს

ფორმულა 1-ში შარშან აგორებული, მერე კი მიჩუმათებული და მივიწყებული სკანდალი ახლიდან იკრებს ძალას. იტალიური „ფერარის" საჯინიბომ მაშინ თავისი ყოფილი თანამშრომლები კონფიდენციალური ინფორმაციის „ტოიოტასთვის" მიყიდვაში დაადანაშაულა და სასამართლოშიც იჩივლა. გამოძიება საქმეს ნელ-ნელა მიჰყვება, თუმც ამით მომჩივანი მხარის უკმაყოფილება ჯერ არ დაუმსახურებია. პირიქით, მაურო იაკონისა და ანჯელო სანტინის საქმის ძიება ბრალდების დადასტურებისკენ მიდის.

იაკონი ფერარელობისას (1999 წლამდე) კომპანია „AEROLAB"-ში მიკრომექანიზმების წარმოებაში იხარჯებოდა, სანტინი კი „ფერარის" აეროდინამიკის განყოფილებიდან შარშან დაითხოვეს. მალე ორივე „ტოიოტაში" გაწევრიანდა. ამ ბატონებს იტალიელები „ფერარის" კომპიუტერულ ქსელში შეძრომას და საიდუმლო ინფორმაციების მოპარვას აბრალებენ. ერთ-ერთ მტკიცებულებად კი 2001 წელს გავრცელებულ, თუმც აქამდე დაუსაბუთებელ ინფორმაციას იყენებენ, რომლის თანახმადაც მავანი ექსფერარელი სხვა გუნდებს რამდენიმე მილიონი ევროს სანაცვლოდ საიდუმლო დოკუმენტების გადაცემას ჰპირდებოდა. იტალიელები იმასაც ამბობენ, ქურდების შეთავაზება პირველად „იაგუარმა" მიიღო, მაგრამ მერე თავი შეიკავაო.

2003-ის ნოემბერში იაპონური გუნდის გერმანულ ბაზას კიოლნში პოლიციის სპეცრაზმი დაადგა და აეროდინამიკის განყოფილების გაჩხრეკის შემდეგ ტექნიკური პროექტების, კომპიუტერებისა და ინფორმაციებით სავსე დისკების კონფისკაცია მოახდინა.

ბოლო წლებში „ფერარიდან" „ტოიოტაში" ხუთი კაცი გადავიდა სამუშაოდ და, ცხადია, თავიდან ხუთივე ეჭვმიტანილად ითვლებოდა, თუმც ძრავის ოსტატი ლუკა მარმორინი, ინჟინერ-მეტალურგი ფაბრიციო ფაბრი და ლოგისტიკის სპეციალისტი ლუიჯი ურბინელი უკვე უბრალოები არიან.

ოთარ მაღლაკელიძე

დალიეთ, გადახდილია!

კიმი რაიკონენი ცოლმა გადარია

სეზონთაშორის არდადეგებს 2003 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი კიმი რაიკონენი კანარის კუნძულებზე ატარებს, მაგრამ ევროპული სააგენტოების მტკიცებით, ფინელი მრბოლის კანარულ ვიზიტს დასვენებასთან საერთო არაფერი ჰქონია. ფინურმა გამოცემამ „7 PAIVAA"-მ (7 დღე) ამ დღეებში მთვრალი კიმის ფოტოები გამოამზეურა და მკითხველს სპორტსმენის საკურორტო ცხოვრებაც დაუხატა.

„აისმენად" მონათლულ პილოტთან ერთად მოლხენა კანარებზე თურმე ნებისმიერი დამსვენებლისთვის შესაძლებელი ყოფილა. იგი ბარიდან ბარში დადის და მანამდე სვამს, სანამ გონებას არ დაკარგავს. თან სიმთვრალეში ხელგაშლილიც ხდება და ყველას ნასვამ-ნაჭამისას თავად იხდისო — ირწმუნებიან კიმის თანამემამულე ჟურნალისტები. ერთ-ერთ ბარში „მაკლარენის" მესაჭე სცენაზეც ამძვრალა, ფრენკ სინატრას რეპერტუარის გადამღერებული რომელიღაც თანამემამულე შემსრულებლის გვერდით დამდგარა და შარვლის გახდა დაუწყია, თუმც შუა საქმეში წაქცეულა. მომღერალს კი დამსწრე საზოგადოებისთვის ალტაცებულს მიუმართავს, აქაოდა, თქვენს წინაშე კიმი რაიკონენი იდგაო (ალბათ უნდოდა ეთქვა, იხდიდაო). თავის ადგილზე დაბრუნებულ კიმის ჭურჭელი უმსხვრევია.

აქამდე 25 წლის ფინელი სკანდალში მხოლოდ ერთხელ გაეხვა. შარშან იახტიდან ნასვამი ზღვაში გადავარდა და ძლივს გადაარჩინეს. მერე კი ყველაფერი ძველებურად, წყნარად გაგრძელდა.

ოთხი თვის წინ ცოლად ყოფილი მის სკანდინავია ჯენი დალმანი მოიყვანა და მასთან ერთად თითქოს ტკბილი ოჯახური ცხოვრებაც დაიწყო, თუმც ბოლო დროს წყვილს ურთიერთობა აერია, რაც ჩხუბით დასრულდა და კანარის კუნძულებზეც მხოლოდ კიმი გაემგზავრა. ჰოდა, აგერ ბოლმის სასმელში ახრჩობს.

ოთარ მაღლაკელიძე

ედი ჯორდანი ჯორდანსა და ქალებს შეელია

მექალთანეობისა და ვნებააშლილობის გამო გერმანული „ბილდის" მიერ ფორმულა ერთის „მთავარმეძუძუედ" წოდებულმა ედი ჯორდანმა თავისი სახელობის საფორმულაერთო გუნდი გუშინ 70 მილიონ დოლარად გაჰყიდა. შეჭირვებაში მყოფ „ჯორდან გრან პრიში" ამოტოლა ფულის გადახდა ფორმულა-3000-ის გუნდ „არდენის" ბოს კრისტიან ჰორნერს გაურისკავს. ახალი მფლობელი გუნდის „არდენ F1"-ად გადანათვლას, აქამომდელი პერსონალის სრულ გადახალისებას გეგმავს და, ცხადია, არც ედის მიერ მომრავლებულ „საჯინიბოს ბოზებთან" შეგუებას აპირებს. არადა, თავად 54 წლის ირლანდიელს გული ყველაზე მეტად სწორედ იმაზე სწყდება, რომ აწი თავის სამანქანე გოგოშკებს ველარ ჩაბურჯღნის — ეგენი ხომ შეჯიბრის საუკეთესო მონაწილეები არიანო. ასე რომ, მის მიერ აღმოჩენილსა და დიდ სპორტში ძმებ შუმახერების დარად გზადალოცვილ ისეთ სახელიან „საჯინიბოს კახპას", როგორიც კატია პრაისია, ამიერიდან ფორმულა ერთში უედიჯორდანოდ მოღვაწეობა მოუწევს. თუმცა, მისი თვითნაბადი მონაცემებისა და ჰალალი სულისკვეთების მქონე ძუს ავტოსპორტის გზებზე დაუსაქმებლად წანწალი ნაღდად არ ემუქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცილი ადის აბებაში

REUTERS ადის აბებიდან

დიდი ეთიოპიური ვარბენი ესესაა დასრულდა: გაიმარჯვა აბერა დინკესამ, რომელმაც ტრადიციული 10-კილომეტრიანი გზა 20 ათასი მოსეირის წინაშე უსწრაფესად გაირბინა ადის აბებას ქუჩებში. ესენი კი ვარბენის განთქმული მოსეირენი არიან: დიადი სტაიერი ჰაილე გებრესელასიე და გაეროს კეთილი ნების ელჩი, კინოვარსკვლავი დენი გლოვერი.

ოლიმპიელთა მიღება

REUTERS ლონდონიდან

„ლორდსის" კრიკეტის კლუბში ლონდონის კიდეზე ბრიტანეთის მთავრობამ მიღება გაუმართა თავის ოლიმპიელებს და პარაოლიმპიელებს. იქ იყო პრემიერი ტონი ბლერიც, რომელიც მარათონის რეკორდსმენ პოლა რედკლიფს ესაუბრებოდა.

REUTERS ქაბულიდან

ქაბულის გოლფკლუბი

გინდათ გაიცინეთ და გინდათ გადაიხარხარეთ: ეს ქაბულის გოლფკლუბია. ცოტათი თუ ჰგავს იმას, რასაც საერთოდ გოლფკლუბი ჰქვია, მაგრამ იქ უკვე დაიწყო პირველი ავღანური საგოლფე შეჯიბრი, რომელშიც ოთხმოცი სპორტსმენი მონაწილეობს. მთავარი პრიზიც მთლად მდიდრული ვერაა და შეჯიბრის პირველ დარტყმასაც საზეიმო კალაშნიკოვური ზალპი მოჰყვა, მაგრამ მთავარია, რომ საქმე დაიწყო, თუნდაც ამ ხრიოკ ადგილას.



REUTERS ქაბულიდან

REUTERS ჰონკონგიდან

დიდი საზამთრო

იანვარში ჰონკონგში ქალთა დიდი საჩოგბურთო ტურნირი გაიხსნება. ქალთა პირველი ათეულის ექვსი წევრი აქაურ კორტზე გამოვა. ვთქვათ, ამელი მორესმო და მარია შარაპოვა. ასე რომ, ვისაც ჩოგბურთი უყვარს, წავიდეს ჰონკონგში და უყუროს დებ უილიამსებს და მთელს ამ მშვენიერ ბენდს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნაობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge